

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვაჟა სულაშვილი

მართვითხა ჭრილის მქონე სეისმომედეგი
თხელკედლიანი სივრცითი სისტემების
დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის მათემატიკური
მოდელი და ალგორითმი

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა - მშენებლობა

შიფრი - 0732

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0171, საქართველო

„.....“, 2022წ

საავტორო უფლება © 2022 წელი, ვაჟა სულაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო ფაკულტეტი

ჩვენ, ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ვაჟა სულაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „მართკუთხა ჭრილის მქონე სეისმომედეგი თხელკედლიანი სივრცითი სისტემების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის მათემატიკური მოდელი და ალგორითმი“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მშენებლობის“ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ხელმძღვანელები:

ტ.მ.დ. პროფესორი

ტ.მ.კ. პროფესორი

გელა ყიფიანი

დემურ ტაბატაძე

რეცენზენტები:

ტ.მ.დ. პროფესორი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ მარდალეიშვილი

თამაზ ბაციკაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022 წელი

ვაჟა სულაშვილი

მართკუთხა ჭრილის მქონე სეისმომედეგი თხელკედლიანი სივრცითი
სისტემების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის მათემატიკური
მოდელი და ალგორითმი

სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: -----, 2022 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის
შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების
გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია
ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო
უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა
(გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ
სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს
მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა
მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.



კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [PhDF-21-2432].

რეზიუმე

დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის პირობებში მყოფი წყვეტილ-პარამეტრებიანი თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების პრობლემა საკმაოდ რთულია, აქტუალურია და მოითხოვს გაანგარიშების განსაკუთრებული მეთოდების შემუშავებას.

ჭრილების მქონე ფირფიტების დრეკად-პლასტიკურ მდგომარეობაზე გაანგარიშების აქტუალურობა, განპირობებულია გარსული ტიპის ნაგებობების დაპროექტებაში თანამედროვე კონსტრუქციული მასალების გამოყენებით, აგრეთვე საინჟინრო გაანგარიშებისათვის ეფექტური მეთოდების განვითარებითა და დანერგვით.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ჭრილისმქონეანიზოტროპული სხეულის დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის გამოკვლევა. თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების ისეთი მეთოდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დატვირთვის ნებისმიერ სტადიაზე დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის უტყუარ ასახვას გაანგარიშების მინიმალური ხარჯებით.

მართკუთხა ჭრილების მქონე ფირფიტებისაგან შედგენილი თხელკედლიანი კონსტრუქციის ახალი დაზუსტებული საანგარიშო მოდელის შექმნა, კონტურული კუმშვადი დატვირთვის სხვადასხვა სახის სხვადასხვა სასაზღვრო პირობებისა, აგრეთვე ხვრეტების სხვადასხვა სიდიდისა და განლაგების გათვალისწინებით. ჩატარდა ექსპერიმენტი მონოლითური რკინაბეტონის ბრტყელი ფილის მაგალითზე. ექსპერიმენტით მიღებული შედეგები შედარებული იქნა თეორიულად დადგენილ რეალურ მნიშვნელობებთან. გადმოცემული იქნა თეორიული კვლევების, გაანგარიშებებით და ექსპერიმენტით მიღებული შედეგების ანალიზი. დამუშავებული მეთოდების საფუძველზე გადმოცემული იქნა ალგორითმი და პროგრამათა პაკეტი.

საინჟინრო თვალსაზრისით კონსტრუქციის ზღვრული მდგომარეობა ხასიათდება მისი თავდაპირველი ზომების და ფორმის იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომ კონსტრუქციის შემდგომი ექსპლოატაცია შეუძლებელი ხდება. ცხადია, ზღვრული მდგომარეობის მიღწევამდე საგრძნობლად ადრე კონსტრუქციაში არსებობს ცალკეული დაქსაქსული პლასტიკური არეები, რომელთა გავლენა ჯერ კიდევ უმნიშვნელოა და კონსტრუქცია კვლავ შეგვიძლია ჩავთვალოთ ხისტად, მაგრამ დატვირთვის ზრდასთან ერთად იწყება პლასტიკური არეების გაფართოება და ბოლოს, როცა გარე ძალები მიაღწევენ გარკვეულ „ზღვრულ მნიშვნელობას“, რომელსაც კონსტრუქციის ზიდვის უნარს უწოდებენ, კონსტრუქცია „მიედინება მთლიანად“, რაც აღინიშნება დეფორმაციათა სიჩქარეების განუსაზღვრელი ზრდით.

მოახლოებული რღვევის პირობებში პლასტიკური დეფორმაცია საგრძნობლად აღემატება დრეკადს, რის გამოც ეს უკანასკნელი შეიძლება საერთოდ უგულვლევყოთ, ამგვარ განმარტების შედეგად ვიღებთ რეალური დეფორმადი ტანის იდეალურ პლასტიკურ ხისტ მოდელს. სწორედ ეს მოდელი გამოყენებულია ზიდვის უნარის განსაზღვრის დროს.

ნაგებობათა გაანგარიშება ჰუკის კანონის ფარგლებში უზრუნველყოფს ნაგებობის მოჭარბებულ სიმტკიცეს, რაც იწვევს მასალის გადახარჯვას. ამას-

თან დაკავშირებით, ბუნებრივია დავუშვათ ნაგებობის ცალკეულ ელემენტებში პლასტიკური დეფორმაციების წარმოქმნის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს ნაგებობის ეკონომიურობას მასალის ხარჯის თვალსაზრისით. თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციები ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში. მათ ასევე გამოიყენება ჰპოვეს ჰიდროტექნიკურ, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, კულტურულ-სპორტული ნაგებობების გადახურვის რაციონალური გადაწყვეტის საქმეში.

თხელკედლიან კონსტრუქციებს, რომლებსაც გააჩნიათ ჭრილები, ხვრეტები, წიბოები და სხვა სახის კონსტრუქციული ელემენტები, მათი გაანგარიშება დაკავშირებულია რთულ მათემატიკურ ამოცანასთან, ვინაიდან საჭიროებს არა მარტო კონსტრუქციული ელემენტების გათვალისწინებას, არამედ ისეთი საკითხების კომპლექსურ განხილვასაც, როგორებიც არიან: თანამედროვე მასალების რეალური თვისებები, არაწრფივი დრეკადობა, პლასტიკურობა თერმო და ელექტრომაგნიტური დრეკადობა, სიბლანტე, გასაანგარიშებელი კონსტრუქციის ურთიერთქმედება სითხესთან და გაზთან და სხვა მრავალი ფაქტორების გათვალისწინებასაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად არღვევენ რეგულარობას არმატურული ტიპის ღეროების სხვადასხვა ხისტი ჩართვები.

რეგულარობის დარღვევის ადგილებში (წიბოს ბოლო, დისკრეტული ბმები) ძაბვათა კონცენტრაციის ზონები არსებით გავლენას ახდენენ თხელკედლიანი კონსტრუქციების ზიდვის უნარზე და მდგრადობაზე. ამ დროს ცნობილი ტრადიციული ანალიზური და რიცხვითი მეთოდები წყვეტილპარამეტრებიანი თხელკედლიანი კონსტრუქციების დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოსაკვლევად ნაკლებად ეფექტურია. ამიტომ საჭირო ხდება აღნიშნული კლასის ამოცანების ამოხსნის ახალი ეფექტური მეთოდების შემუშავება.

ჭრილების მქონე თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდი წრფივი და არაწრფივი დეფორმაციის პირობებში, საშუალებას იძლევა ერთნაირი სიზუსტით განისაზღვროს ძაბვები და მომენტები, როგორც კონტინუალურ არეში, ისე ჭრილის კიდეებს და წვეროების მახლობლობაში. სხეულში ხვრეტების ირგვლივ და სასაზღვრო დრეკად-პლასტიკურ ზოლში დამაბულობის განაწილების და გადაადგილების ხასიათის ცოდნა სიმტკიცეზე გათვლების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია.

მეცნიერული სიახლეა დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის პირობებში მართკუთხა ჭრილის მქონე თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დატვირთვის ნებისმიერ სტადიაზე დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის დადგენას. მოცემული იქნა წყვეტილპარამეტრებიანი, ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშების გადმწყვეტი დიფერენციალური განტოლებების შედგენის ზოგადი მეთოდები კერძო შემთხვევებში. დაკონკრეტებული იქნა ცვლადი და წყვეტილი კოეფიციენტების მქონე დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის მეთოდები. შექმნილი იქნა მართკუთხა ჭრილის მქონე ფირფიტებისაგან შედგენილი თხელკედლიანი კონსტრუქციის დაზუსტებული საანგარიშო მოდელი.

Resume

The task of calculating discontinuous thin-walled structures in the elastoplastic regime is quite complex, relevant and requires the development of special calculation methods.

The relevance of calculating the elastic-plastic state of slabs with cuts is due to the design of shell-type buildings using modern building materials, as well as the development and implementation of effective methods of engineering calculations.

The purpose of the study is to study the elastic-plastic state of an anisotropic body with a wound. Creation of a technique for calculating thin-walled structures that provides an unambiguous reflection of the elastic-plastic state at any stage of loading with minimal estimated costs.

Creation of a new refined computational model of a thin-walled structure, consisting of plates with rectangular cutouts, taking into account various boundary conditions for various types of contour shrinkage, as well as various sizes and arrangements of holes. The experiment was carried out on the example of a monolithic reinforced concrete flat slab. The results obtained as a result of the experiment were compared with theoretically established real values. An analysis of the results of theoretical studies, calculations and experiments is presented.

Based on the processed methods, an algorithm and a software package are presented.

From an engineering point of view, the limit state of a structure is characterized by such a significant change in its original size and shape that further operation of the structure becomes impossible. It is clear that long before the threshold is reached, the structure already has some cracked plastic areas, the impact of which is still insignificant and the structure can still be considered rigid, but with increasing load, the plastic areas begin to expand and, finally, when external forces reach a certain ability to stretch, the structure is called "completely spreading", which is characterized by an indefinite increase in the strain rate.

Under conditions of imminent rupture, plastic deformation is much greater than elastic, so the latter can be completely neglected; as a result of this explanation, we obtain an ideal rigid-plastic model of a real deformable body. It is this model that is used to determine thrust.

The calculation of buildings according to Hooke's law provides for excessive rigidity of the building, leading to an overload of the material. In this regard, it is natural to assume the possibility of plastic deformations in individual elements of the building, which ensures the economy of the building in terms of the cost of materials. In construction, thin-walled spatial structures are widely used. They have found application in the rational solution of the roof of hydraulic, industrial, agricultural, commercial, cultural and sports facilities.

Thin-walled structures with cutouts, holes, slots and other structural elements are difficult to calculate, as they require not only consideration of structural elements, but also a comprehensive consideration of such issues as: Real properties of modern materials, electromagnetic elasticity, viscosity, interaction of the design structure with the liquid is taken into account and gas and many other factors.

This regularity is violated especially significantly by various rigid schemes of anchor-type rods.

The zones of stress concentration in the places of ruptures of irregularities (gill end, discrete bonds) significantly affect the ultimate strength and durability of thin-

walled structures. The currently known traditional analytical and numerical methods are less effective in studying the stress-strain state of discontinuous thin-walled structures. Therefore, it is necessary to develop new effective methods for solving problems of this class.

The method of calculating thin-walled spatial structures with notches under conditions of linear and non-linear deformation makes it possible to determine stresses and moments with the same accuracy both in a continuous zone and near the edges of the notch and near the vertices. Knowledge of the nature of the distribution and displacement of stresses around the holes in the body and in the boundary elastic tape is one of the mandatory components of strength calculations.

Scientific novelty: Creation of a method for calculating thin-walled structures of rectangular cross section under the conditions of an elastic-plastic state, which ensures the determination of the elastic-plastic state at any stage of loading. General methods for constructing solving differential equations for calculating the parameters of intervals, slabs and membranes in particular cases are given. Methods for solving differential equations with variable and discontinuous coefficients are refined. An accurate calculation model of a thin-walled structure composed of plates with a rectangular cut was created.

შინაარსი

რეზიუმე	4
ცხრილების ნუსხა	9
ნახაზების ნუსხა.....	10
შესავალი.....	13
თავი 1.თხელკედლიანი სივრცითი სისტემების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის თანამედროვე პრობლემები	
1.1. გარსებისა და ფირფიტების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა.....	16
1.2. თხელკედლიანი კონსტრუქციის თეორიის სტრუქტურული შემადგენლობა.....	22
1.3. კერძო სახეების ზედაპირის გარსები.....	31
1.4. პირველი თავის დასკვნები.....	44
თავი 2. კვლევა, შედეგები და მათი განსჯა	
2.1. ფენოვანი მოდელის გამოყენების შესაძლებლობა სისქის მიხედვით ერთგვაროვანი მთლიანი გარსების შესწავლის მიზნით.....	45
2.2. დრეკად-პლასტიკური ფილებისა და გარსების ზიდვის უნარის დადგენა.....	52
2.3. სამშენებლო მექანიკის ზოგიერთი ამოცანის გადაწყვეტის პრაქტიკული ხერხი. საკითხის დასმა.....	66
2.4. მართკუთხა ფილების გაანგარიშების პრაქტიკული მეთოდი საანგარიშო სქემის, სასაზღვრო პირობებისა და დატვირთვის კონკრეტული მოდელის გათვალისწინებით.....	69
2.5. წყვეტილპარამეტრებიანი თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის გაანგარიშების მაგალითები.....	75
2.6. ორი თანაბარი სიგრძის პარალელური ბზარის ამოცანის რიცხვითი ამოხსნა.....	101
2.7. მეორე თავის დასკვნები.....	109
ძირითადი დასკვნები.....	110
გამოყენებული ლიტერატურა.....	112

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. მაქსიმალური გადახრა მრუდისგან.....	49
ცხრილი 2. ორჯერადი ინტეგრალის რიცხვითი მნიშვნელობები-1.....	65
ცხრილი 3. ორჯერადი ინტეგრალის რიცხვითი მნიშვნელობები-2.....	65
ცხრილი 4. ორჯერადი ინტეგრალის რიცხვითი მნიშვნელობები-3.....	65
ცხრილი 5. ორჯერადი ინტეგრალის რიცხვითი მნიშვნელობები-4.....	65
ცხრილი 6. გარსის ანგარიში გეომეტრიული არაწრფივობის გათვალისწინებით....	77
ცხრილი 7. ბრტყელი ელემენტისაგან შედგენილი გარსის ანგარიში-1.....	77
ცხრილი 8. ბრტყელი ელემენტისაგან შედგენილი გარსის ანგარიში-2.....	78
ცხრილი 9. ბრტყელი ელემენტისაგან შედგენილი გარსის ანგარიში-3.....	82
ცხრილი 10. ბრტყელი ელემენტისაგან შედგენილი გარსის ანგარიში-4.....	82
ცხრილი 11. ბრტყელი ელემენტისაგან შედგენილი გარსის ანგარიში-5.....	83
ცხრილი 12. ოთხი ბრტყელი ელემენტისაგან შედგენილი გარსის ანგარიში-1.....	89
ცხრილი 13. ოთხი ბრტყელი ელემენტისაგან შედგენილი გარსის ანგარიში-2.....	89
ცხრილი 14. ოთხი ბრტყელი ელემენტისაგან შედგენილი გარსის ანგარიში-3.....	90
ცხრილი 15. ინტეგრალური განტოლების ზუსტი ამონახსნი-1.....	104
ცხრილი 16. ინტეგრალური განტოლების ზუსტი ამონახსნი-2.....	104

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. მთლიანი ორთოტროპული გარსი.....	45
ნახ. 2. იზოტროპული გარსები.....	48
ნახ. 3. პირველი გვარის წყვეტას გარსის შუა ზედაპირზე.....	50
ნახ.4. პლასტიკური ხისტი მოდელი.....	52
ნახ.5. ხისტად ჩამაგრებული სფერული გარსი.....	56
ნახ.6. ანაკრები გარსის საანგარიშო სქემა.....	58
ნახ.7. ანაკრები გარსის ელემენტები.....	60
ნახ. 8. კინემატიკურად დასაშვები სიჩქარეთა ველი.....	62
ნახ. 9. ანაკრები კონსტრუქტორის ზიდვის უნარის გრაფიკი.....	66
ნახ. 10. სახსროვანი და ხისტი საყრდენები.....	69
ნახ. 11. მაქსიმალურ ჩაღუნვები.....	71
ნახ.12. ფირფიტის ცენტრში მოდებული შეყურსული ძალა.....	72
ნახ. 13. მაქსიმალური ჩაღუნვა.....	74
ნახ. 14. გადახურვის გარსის ზედაპირი.....	76
ნახ. 15. დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კომპონენტების განაწილება-1.....	78
ნახ. 16. დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კომპონენტების განაწილება-2.....	79
ნახ. 17. დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კომპონენტების განაწილება-3.....	79
ნახ. 18. დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კომპონენტების განაწილება-4.....	80
ნახ. 19. დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კომპონენტების განაწილება-5.....	80
ნახ. 20. დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კომპონენტების განაწილება-6.....	81

ნახ. 37. დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კომპონენტების განაწილება-23.....	93
ნახ. 38. სახსრულად ჩამაგრებული ცილინდრული პანელი.....	94
ნახ. 39. ჩაღუნვების, მომენტების და დაძაბულობის გარსი-1.....	94
ნახ. 40. ჩაღუნვების, მომენტების და დაძაბულობის გარსი-2.....	94
ნახ. 41. ჩაღუნვების, მომენტების და დაძაბულობის გარსი-3.....	95
ნახ. 42. ჩაღუნვების, მომენტების და დაძაბულობის გარსი-4.....	96
ნახ. 43. ჩაღუნვების, მომენტების და დაძაბულობის გარსი-5.....	96
ნახ. 44. ჩაღუნვების, მომენტების და დაძაბულობისა გარსი-6.....	97
ნახ. 45. დატვირთვა-ჩაღუნვის გრაფიკი.....	97
ნახ. 46. დამოკიდებულება წიბოს სიმაღლისა კვეთში.....	98
ნახ. 47. დატვირთვა-ჩაღუნვა კვეთებისთვის.....	99
ნახ. 48. დატვირთვა-მომენტი კვეთებისთვის.....	99
ნახ. 49. დამოკიდებულებები დატვირთვებისას კვეთში.....	100
ნახ. 50. გადამჭრელი ძალების მაქსიმალური მნიშვნელობა.....	100
ნახ. 51. ორი თანაბარი სიგრძის ბზარი.....	101

შესავალი

თემის აქტუალობა. თემის აქტუალობას განაპირობებს დრეკად-პლასტიკურ მდგომარეობის პირობებში მყოფი წყვეტილპარამეტრებიანი თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების პრობლემა, რომელიც მოითხოვს გაანგარიშების განსაკუთრებული მეთოდების შემუშავებას.

კვლევის მიზნები და ამოცანები.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს

- ჭრილის მქონე ანიზოტროპული სხეულის დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის გამოკვლევა. თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების ისეთი მეთოდიკის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დატვირთვის ნებისმიერ სტადიაზე დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის უტყუარ ასახვას გაანგარიშების მინიმალური ხარჯებით;
- მართკუთხა ჭრილების მქონე ფირფიტებისაგან შედგენილი თხელკედლიანი კონსტრუქციის ახალი დაზუსტებული საანგარიშო მოდელის შექმნა, კონტურული კუმშვადი დატვირთვის სხვადასხვა სახის სხვადასხვა სასაზღვრო პირობებისა, აგრეთვე ხვრეტების სხვადასხვა სიდიდისა და განლაგების გათვალისწინებით.

მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა შემდეგი ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ამოცანების გადაჭრა:

- დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის პირობებში მართკუთხა ჭრილის მქონე თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების ისეთი მეთოდიკის დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს დატვირთვის ნებისმიერ სტადიაზე დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის დადგენას და დატვირთვის ნებისმიერ სტადიაზე დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის უტყუარ ასახვას გაანგარიშების მინიმალური ხარჯებით;
- ჭრილების მქონე მართკუთხა ფილებისაგან შედგენილი თხელკედლიანი კონსტრუქციის დაზუსტებული საანგარიშო მოდელის შექმნა;

- ჭრილების მქონე გეგმაში მართკუთხა ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშების მეთოდის დამუშავება, კონტურული კუმშვადი დატვირთვის სხვადასხვა სახის, სხვადასხვა სასაზღვრო პირობების, აგრეთვე ჭრილების სხვადასხვა სიდიდისა და განლაგების გათვალისწინებით.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია დრეკად-პლასტიკურ მდგრადობის პირობებში მყოფი წყვეტილპარამეტრებიანი თხელკედლიანი კონსტრუქციები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

შექმნილია დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის პირობებში მართკუთხა ჭრილის მქონე თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს დატვირთვის ნებისმიერ სტადიაზე დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის დადგენას.

მოცემული იქნა წყვეტილპარამეტრებიანი, ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშების გადამწყვეტი დიფერენციალური განტოლებების შედგენის ზოგადი მეთოდები კერძო შემთხვევებში.

დაკონკრეტებული იქნა ცვლადი და წყვეტილი კოეფიციენტების მქონე დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის მეთოდები.

შექმნილი იქნა მართკუთხა ჭრილის მქონე ფირფიტებისაგან შედგენილი თხელკედლიანი კონსტრუქციის დაზუსტებული საანგარიშო მოდელი.

კვლევის მეთოდოლოგია.

სამუშაოში დასახული კვლევის მიზანი მიღწეულია დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით. არაწრფივი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის გაწრფივებისათვის გამოყენებულია თანდათანობითი დატვირთვის ხერხი, ხოლო ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებზე მიყვანისათვის კანტოროვიჩ-ვლასოვის ვარიაციული მეთოდი და წრფეთა მეთოდი. დამუშავებულია მართკუთხა ჭრილის მქონე გარსების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის გაანგარიშების ახალი მეთოდი არაწრფივი დეფორმაციის პირობებში. ეს მეთოდი საშუალებას იძლე-

ვა ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე გამოკვლეული იქნას დისკრეტული და კონტინუალური სისტემები. ამასთან გაითვალისწინება არარეგულარობის სხვადასხვა სახეები გამჭოლი ჭრილით და მართკუთხა წიბოებით. ჩატარებული მრავალმხრივი თეორიული კვლევების, გაანგარიშებებისა და ექსპერიმენტით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ მოსალოდნელი დასკვნები და გაიცეს რეკომენდაციები.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

დამუშავებული მეთოდის საფუძველზე შედგენილი პროგრამების პაკეტი განსხვავდება არსებული პროგრამული პაკეტებისაგან ეკონომიურობით და სწრაფი გარდაქმნის შესაძლებლობებით. შესრულებულმა გამოთვლებმა გამოავლინა ზოგიერთი ტიპის კონსტრუქციის მუშაობის თავისებურება, რომლის მხედველობაში მიღება აუცილებელია მათი სიმტკიცისა და სიხისტის უზრუნველსაყოფად. მიღებულია რაოდენობრივი შეფასებები დამრეცი გარსებისა და ფირფიტების საყრდენის ჯდენის გავლენისა მაქსიმალური მდუნავი მომენტის მნიშვნელობაზე და წრიულ ფირფიტაში სახსრების გავლენისა ჩალუნვების მნიშვნელობაზე. აგებული გრაფიკები საშუალებას იძლევიან შეირჩეს კონსტრუქციის სისქე წინასწარ მოცემული სიხისტის ან სიმტკიცის პირობის მიხედვით. ასევე ყოველი კონკრეტული ამოცანის მათემატიკური ალგორითმი და პროგრამა ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნას საპროექტო-კვლევითი დაწესებულებების მიერ სივრცითი და ორგანოზომილებიანი ამოცანების გაანგარიშებისა და პროექტირებისას.

ნაშრომის შედეგების აპრობაცია: კვლევის შედეგად მიღებული შედეგები იქნა მოხსენებული სასწავლო პროცესში სამ კოლოკვიუმზე, მიღებული შედეგები გამოქვეყნდა 14 სამეცნიერო ჟურნალში, მათ შორის 11 კონფერენციაზე. 3 სამეცნიერო სტატია თანაავტორების გარეშე გამოქვეყნებული.

სადისერტაციო კვლევის სტრუქტურა. ნაშრომი წარმოდგენილია 126 ფურცელზე. მოიცავს შესავალს, ორ თავს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას. ლიტერატურის ნუსხა შედგება 174 დასახელებისგან. ნაშრომში წარმოდგენილია 16 ცხრილი, 51 ნახაზი.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

თხელკედლიანი სივრცითი სისტემების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის თანამედროვე პრობლემები

პირველ თავში გადმოცემულია თხელკედლიანი სივრცითი სისტემების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის თანამედროვე პრობლემების ლიტერატურული მიმოხილვა. ლიტერატურის მიმოხილვის ანალიზიდან გამომდინარე ჩამოვყალიბეთ ნაშრომის მიზნები და ამოცანები.

1.1. გარსებისა და ფირფიტების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

თანამედროვე სამშენებლო მეცნიერება იკვლევს მრავალ ობიექტს, რომელთა გაანგარიშებები, მათი სირთულიდან გამომდინარე, დაკავშირებულია სამშენებლო მექანიკის მრავალი ანალიზური და რიცხვითი მეთოდების გამოყენებასთან. აქედან გამომდინარე ის უყენებს დიდ მოთხოვნებს კონსტრუქციების გაანგარიშების და პროექტირების ახალი მეთოდების დანერგვას.

წარმოდგენილია მოსაზრებებიზოგადი გარსების თეორიაში, მდგრადობის განტოლების აგების გზები, ტიმოშენკოს გარსის ტიპის თხელკედლიანი სისტემის დინამიკა და ანიზოტროპული გარსების გაანგარიშების მეთოდები; ასევე საკითხები, როგორც კომპოზიციური მასალის გარსების ოპტიმალური პროექტირების მეთოდიკა, პრობლემა და ექსპერიმენტალური გამოკვლევების შედეგები.

თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების გაანგარიშებების პრობლემებზე განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს უცხოელმა მეცნიერებმა: ს. ტიმოშენკო, ვ. ვლასოვმა, ა. ვოლმირმა, ა. ალექსანდროვმა, ა. გოლდენვეიზერმა, ა. გუზმა, ვ. ილინმა, ა. ფილინმა, ბ. მიხაილოვმა, ვ. კარპოვმა, ვ. ნოვოჟილოვმა, გ. სავინმა, ი. ობრაზცოვმა, ერიქსონმა, ჯერარდმა, რეისნერმა, ასევე ქართველმა მეცნიერებმა: ი. ვეკუამ, ო. ონიაშვილმა, ი. ლუდუშაურმა, ნ. ვალიშვილმა, რ. ცხვედაძემ, მ. მიქელაძემ, რ

ბანცურმა, ჯ. ბიჭიაშვილმა, ზ. გედენიძემ, თ. ბაციკაძემ, ტ. კვიციანმა, დ. გურგენიძემ, გ. ყიფიანმა, მ. კუბლაშვილმა, მ. ყალაბეგაშვილმა, მ. ყალაბეგიშვილმა, თ. ხმელიძემ, ნ. შავლაყაძემ, ნ. მარდალეიშვილმა, დ. გიორხელიძემ, ლ. ზამბახიძემ, ი.კაკუტაშვილმა, დ. ჯანყარაშვილმა, დ. ტაბატაძემ და სხვებმა.

წინამდებარე ნაშრომში მრავლად არის განხილული და გაანალიზებული როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ავტორების მოსაზრებები. თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშებების საკითხებთან დაკავშირებით შესწავლილმა წყაროებმა ხელი შეუწვევს ჩვენს მიერ გამოვლენილი პრობლემების შესწავლას და დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

1946 წელს ლ.ა.გალინმა [51]ზუსტად ამოხსნა ამოცანა ორ ღერძიანი გაჭიმვის სიბრტყისა მრგვალი ხვრეტით ბრტყელი დეფორმაციით. დ.დ. ივლევი[99], ჟ. ს.ერჟანოვი [95] მიახლოებით განსაზღვრეს გადაადგილება პლასტიკურ ზონაში ლ.ა. გალინის ამოცანაში. ზუსტი ფორმულები გადაადგილებისა პლასტიკურ ზონაში ამ ამოცანისათვის მიღებულია შრომაში [52] ლ.ა. გალინის მეთოდით. ა.ი.კუზნეცოვი[145] ასეთი ამოცანა ამოხსნა არაერთგვაროვანი ტანებისთვის, ხოლო ბ.დ. ანინმა[15] პლასტიკურობის ექსპონენციალური პირობებისას. პ. ა.ჟილინი და გ.კ. იბრაევი[97 – 98] განიხილავდნენ ამ ამოცანას, სადაც ძირითადი დამაბულობა არაერთგვაროვანია და წარმოადგენს პოლინომიალურ ფუნქციას კოორდინატებისას.

1970 წელს ი. ს.ჩერნიშენკომ[83] მიუთითა მეთოდზე, რომელიც იძლევა საშუალებას მოიძებნოს ამოხსნა ზოგიერთი კლასის დრეკად-პლასტიკურ ამოცანებისა უცნობი საზღვრებით. მათ მიიღესზუსტი ამონახსნი ამოცანისა ორღერძული გაჭიმვისა ფირფიტის ტრესკ-სან-ვენანის პლასტიკურობის პირობების გათვალისწინებით. ეს ამოცანა მიახლოებით ამოიხსნებოდა ბევრი ავტორისაგან[30, 34, 68, 82,90].

დ.დ.ივლევი, მ.ა.ილგამოვი[99,100] გამოიყენებენ დრეკად-პლასტიური ამოცანის ამოხსნისათვის მცირე პარამეტრების მეთოდს.

პ.ი.პერლინმა [160, 161] შემოგვთავაზა ნახევრად დაბრუნებული მეთოდი დრეკად-პლასტიკური ამოცანის ამოხსნისა ხვრეტების გასწვრივ დაძაბულობის. ვ. ა. შვეცოვმა [171] განიხილა ამოცანა უსასრულო რიგის მქონე წრიული ნახვრეტებისა.

განხილვა ორგანზომილებიანი დრეკად-პლასტიკური ამოცანების ძირითადი შედეგებისა, რომლებიც მიღებული იყო 1969 წლამდე გააკეთა გ.პ. ჩერეპანოვმა [103].

ავღნიშნავთ რამოდენიმე ნაშრომს: ა. ა. ბერეზოვსკი [35] დავ.ბ. ლიდსკი [16].

განიხილეს ორმაგ პერიოდული დრეკად-პლასტიკური ამოცანა. სხვადასხვა შემთხვევებისთვის პერიოდული და ორმაგ პერიოდული ამოცანები მიახლოებით ამოიხსნებოდა ნ.პ.აბოვსკის [4] შრომებში. მიახლოებითი ამოხსნები დრეკად-პლასტიკური ამოცანების სიბრტყეებისთვის, რომლებიც შესუსტებულია განუსაზღვრელი რაოდენობის ხვრეტებით, მიღებულია შრომებში [5 – 6].

ბ.დ.ანინმა [15] ერთი ხვრეტის დროს მიიღო და შეისწავლა განტოლება L კონტურის განსაზღვრისათვის, უშვებდა რა იდენტურ ზონაში არსებულ მდგომარეობისას, ნაშრომში მიღებულია ფუნქციონალური განტოლებები ფუნქციების გამოსახვისათვის სხვა ხერხებით. ბ.დ.ანინმა [15] დასვა ვარიაციული საკითხი დრეკად-პლასტიკური ამოცანებისათვის. ლ. ი. ბალაბუხის [18, 19] მიერ დამტკიცებული იქნა თეორემების არსებობა ზოგიერთი კლასის დრეკად-პლასტიკური ამოცანებისთვის. ამოხსნის თავისებურებები დრეკად-პლასტიკური ამოცანებისა შესწავლილი იქნა ვ. ა. დუბინას და ფ.მ. ელპატიევსკის [92, 94] მიერ.

ზოგიერთ დრეკად-პლასტიკურ ამოცანებს განიხილავდნენ შ. მ. აიტალიევი [9], ს. ა. ამბარცუმიანი [12], ნ. ი. ბეზუხოვი [20], ვ.ვ. ბელიაევი [31 – 33] და სხვები. პარამეტრების სფეროში კი, რომელთა დროსაც არსებობს დრეკად-პლასტიკური ამოცანის ამოხსნები, სწავლობდნენ ვ.ა.ბაჟენოვი, ვ. ნ. ბულგაკოვი [17, 40]. დრეკად-პლასტიკურ ამოცანებს

ედვინება ცალკეული თავები წიგნებში ა. ვ. ბურლაკოვის[42,43], ვ. ზ. ვლასოვის[46].

არსებობს შრომები, სადაც მასალა დრეკად-პლასტიკურ ზონაში წარმოადგენს ანიზოტროპულს[1], ან სულაც გათვალისწინებულია მასალის არაერთგვაროვნება დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის დროს[2,3].

საკითხის დასმის და ამოცანის ამოხსნის მეთოდების მხრივ ახლოს ითვლება ამოცანა ზოგიერთ შემთხვევაში ხვრეტების ოპტიმალურ ფორმის განსაზღვრისა დრეკად ტანში. დ. ვ. ვაინბერგის [44, 45], ლ.ა. გალინის[51 – 52] შრომებში დასმულია საკითხი თანაბარ სიმტკიცის ხვრეტებისთვის, რომელთა კონტურზე ნორმალური ტანგენციალური დაძაბულობა σ_t მუდმივია, მუდმივი დაძაბულობისას σ_n , τ_{nt} ან კონტურის ყველა წერტილზე ერთდროულად მიიღწევა დრეკად-პლასტიკური მდგომარეობა. ი.ვ. ანდრიანოვის[14], ი. ი. ბურაკის[41] შრომებში ნაჩვენებია, რომ თანაბარი გარე ძალების ზემოქმედებისას მინიმუმ მაქსიმალური მნიშვნელობებისა მეორე ინვარიანტის ტენზორის დროს დაძაბულობა მიიღწევა თანაბარ კონტურებში.

პერიოდული ამოცანები თანაბარი ხვრეტებისათვის განიხილებოდა ვ. ბ. აკსუნტიანის[7], ვ. ვ. დიკოვიჩის[91], გ.მ. ივანოვის შრომებში.

ეს განხილვა არ აცხადებს რომ ის სრულია, ზოგიერთი ნაშრომები მოხსენიებული ზემოთ და მოყვანილია ბიბლიოგრაფიულ სიაში. ნაშრომში გადაწყვეტილია წრიული ხვრეტის გარშემო დაძაბულობის განაწილების სხვადასხვა დრეკად-პლასტიკური ამოცანა.

სამშენებლო მექანიკა ითვალისწინებს დეფორმად სხეულზე გარე ზემოქმედების შედეგად გამოწვეულ დრეკად დეფორმირებულ მდგომარეობას, როგორც სტატიკურ, ასევე დინამიკურ პირობებში. იგი მსოფლიოში ცნობილია ე.წ. კლასიკური დრეკადობის თეორიის სახელწოდებით, რომლის, როგორც დამოუკიდებელი მკაცრი მეცნიერების საწყის ეტაპად მიჩნეულია XIX საუკუნის პირველი ნახევარი, როცა თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა ს. ნავიეს, ა. კოშის და ს. პუასონის შრომები, სადაც პირველად

ასახა კლასიკური დრეკადობის თეორიის ანალიზური მეთოდის არსი, ე.წ. “უსასრულოდ მცირე ელემენტი“-ს შესახებ და მის საფუძველზე სივრცითი ამოცანებისათვის ზოგადი სახით მიღებული იქნა ყველა ის კერძოწარმოებულობის დიფერენციალური განტოლება, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა და რომლის გამოყენებაზეც მოდის უწყვეტ ტანთა მექანიკის ზოგად მეცნიერებაში გამოქვეყნებული უდიდესი რაოდენობის მეცნიერული გამოკვლევის ლომის წილი.

დრეკადობის თეორიის სივრცითი ამოცანების ზუსტი გადაწყვეტა როგორც ცნობილია, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემადაა მიჩნეული დეფორმადი სხეულების მექანიკაში [22-29]; ასეთი მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია აღნიშნულ ამოცანებში კლასიკური დრეკადობის თეორიის გამოყენებით, რასაც თან სდევს უდიდესი მათემატიკურისახის სირთულეები კერძო წარმოებულობის დიფერენციალური განტოლებების გამო.

ზუსტი ამოხსნების სიძნელეებმა გამოიწვია მიახლოებითი თეორიების განვითარება, რომლებიც ეყარებიან სამგანზომილებიანი ამოცანების დაყვანას ორგანზომილებიანზე, დაყვანის მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: სისქის მიხედვით დაშლის [21]; ასიმპტოტური [36-37] და ჰიპოთეზების მეთოდები [47-50]; ამ პრობლემებს ეძღვნება შრომათა დიდი რაოდენობა, რომლებშიც შემოთავაზებულია დაყვანის მრავალგვარი გონებამახვილური მეთოდები და საშუალებები, ამ საკითხების მიმოხილვა და კლასიფიკაცია მოცემულია ე. ს.გრებენისა [63] და ა.ლ.გოლდენვეიზერის შრომებში [62].

სადიებელი ფუნქციის სპეციალური ფუნქციების მწკრივად დაშლის მეთოდი პირველად გამოყენებული იქნა ი. ნ. ვეკუას მიერ [49], შემდეგ დაყვანის მეთოდები გამოყენებული იქნა ს. ა. ამბარცუმიანის [12], ვ. ნ.კობელევის [131], ვ. ზ. ვლასოვის [46], ვ. ვ. დიხტას [93], ვ. ვ.კაბანოვის [104], ს. ნ. კანის [105] და სხვათა შრომებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შესრულებულ ფუნდამენტალურ გამოკვლევებში მრავალ უცხოელ მეცნი-

ერთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი მსოფლიოში აღიარებულ ქართველ მეცნიერებსაც ნ. მუსხელიშვილი, ვ. კუპრაძეს, ი. ვეკუას, და მრავალ მათ მოწაფესა და მიმდევარს : ა. კალანდიას, ა. რუხაძეს, ა. გორგიძეს, რ. ბანცურს, ლ. ობოლაშვილს, ლ. მუხაძეს, დ. გორფეზიანს, თ. ვაშაყმაძეს, გ. ჯაიანს, ა. კაკუშაძეს, თ. ზონენაშვილს, გ. ყიფიანს, თ. ბაციკაძეს, გ. ხატიაშვილს, ნ. ბერიშვილს, დ. დანელიას, ზ. მამაღუას, გ. გაჩეჩილაძეს, კ. დუმბაძეს და სხვ.

ასე მაგალითად ღეროების გაჭიმვა-კუმშვაზე, ღუნვაზე და გრეხაზე გაანგარიშებისას, სენ-ვენანის პრინციპის გამოყენებით აღნიშნული ამოცანები დაიყვანება შესაბამის ორ განზომილებიან ამოცანებზე. ეს გზა ყოველმხრივ დასაბუთებულადაა მიჩნეული მსოფლიოს იმ ცნობილი მეცნიერების მიერაც, ვისაც თავისი ფუნდამენტალური გამოკვლევებით უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი კლასიკური დრეკადობის თანამედროვე სახით შექმნაში და მისი მრავალი მიმართულებით განვითარებაში. აი როგორც ასაბუთებს სენ - ვენანის პრინციპის გამოყენების აუცილებლობის სხვადასხვა ფორმის განივკვეთიანი ღეროების გრეხაზე სივრცითი ამოცანების განხილვისას აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი „თუ საკითხს დავსვამთ ჩვენი ღეროს წონასწორობის შესახებ ყველა პირობის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, მაშინ მივდივართ მათემატიკურ ამოცანამდე $\sigma_x, \sigma_y, \sigma_z, \tau_x, \tau_{xy}, \tau_{yx}, \tau_{yz}, u, v, w$ ყველა საძიებელი სიდიდისათვის, ისეთი მნიშვნელობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ღეროს მიერ დაკავებულ V არეში ზუსტად დააკმაყოფილებენ სივრცითი დრეკადობის თეორიის ყველა განტოლებას და ამის გარდა, ამოცანის ყველა სასაზღვრო პირობას.

საბედნიეროდ ირკვევა, რომ პრაქტიკული მიზნებისათვის უმეტეს შემთხვევაში არ არის საჭირო (და თანაც აზრი არ აქვს) ამოცანის დასმას ასეთი სირთულით.

მეორეს მხრივ სენ-ვენანის პრინციპის საფუძველზე - თუ ჩვენ საქმე გვაქვს ღეროსთან, რომლის სიგრძე საგრძნობლად აღემატება მისი განივი კვეთის ზომებს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მხოლოდ იმაზე რომ ღეროს

ფუძეებზე მოქმედი მთავარი ვექტორი და მთავარი მომენტი ამოცანაში მოცემული სიდიდისანი იყვნენ. ღეროს ფუძეებზე მოქმედ ძაბვების ნამდვილ განაწილებას კი არა აქვს გავლენა ღეროს იმ განივკვეთებზე, რომლებიც არ არიან ღეროს ბოლოებთან ახლოს.

საკითხის ასეთი განმარტებიდან დგინდება, რომ ღეროების გრეხაზე დღემდე ჩატარებული ყველა გამოკვლევის მიზანს შეადგენდა ღეროს დამაბულ დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა არა V არეში მთლიანად, არამედ ღეროს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც არ არიან ღეროს ბოლოებთან ახლოს. მაგრამ როგორც ცნობილია ღეროს გრეხაზე ამოცანის გადაწყვეტა პრაქტიკაში სრულდება სიმტკიცეზე გაანგარიშების მიზნით, რომლის დროსაც აუცილებელია ძაბვების განაწილების კანონის ცოდნა არა მარტო ცალკეულ ერთგვაროვან უბნებში არამედ ყველგან. ე.ი. იქაც, სადაც შეიძლება გვექონდეს რეალური სივრცითი დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა ძაბვებისა და დეფორმაციების კონცენტრაციით. ასეთ უბნებს კი წარმოადგენენ ღეროების ბოლოები, რომელთა გავლენა მნიშვნელოვანია საშუალო და მოკლე ღეროების გაანგარიშების დროს.

1.2. თხელკედლიანი კონსტრუქციის თეორიის სტრუქტურული შემადგენლობა

დრეკადი კონსტრუქციების შემადგენლობის მექანიკამ გამოხმაურება ჰპოვა ი. მალვენკოს წიგნში გარსების თეორიაში, რომელშიც დრეკადი გარსების თეორიის განტოლებათა მთელი აპარატი განხილულია მომენტური დამაბულობების მოქმედების გათვალისწინებით.

აქ მიზანშეწონილია შევხებით თხელკედლიანი კონსტრუქციების თეორიის აგების პირდაპირ გზას, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი თეორიის აგება წარმოებს უშუალოდ ორგანოზომილებიან უწყვეტ სივრცეში, სამგანზომილებიანი სივრციდან ყველანაირი გადასვლების გამოყენების გარეშე. მაგრამ ასეთი მიდგომის დროს ორგანოზომილებიანი სივრცის თითოეულ წერტილს უნდა გააჩნდეს თავისუფლების დიდი ხარისხი,

ვიდრე ჩვეულებრივი ზედაპირის წერტილს. ასე აღიქმევა ზედაპირის ცნება პ.ა. ჟილინის მიხედვით [97] ან უფრო ადრეულ ავტორებში – კოსერის ზედაპირები. ასეთი გზა საშუალებას გვაძლევს ავაგოთ ორგანოზომილებიანი კონტინუუმის თეორია, რომელიც არ ეწინააღმდეგება სამგანზომილებიან თეორიას მათემატიკურ და თერმოდინამიკურ ასპექტში. ამ დროს წარმოიშობა თავისი სირთულეები, რომელიც მდგომარეობს მოცემული ეფექტური თვისებების განსაზღვრაში. აქედან გამომდინარე ასე თუ ისე მაინც გვიწევს დავუკავშიროთ ორგანოზომილებიანი კონტინუუმი რეალურ სამ განზომილებიანს.

გარსების თეორია მასალების რეოლოგიურ თვისებებთან დაკავშირებით იყოფა დიდ ნაწილებად. უკანასკნელ წლებში ყურადღება ექცევა ფიზიკური არაწრფივობის პრობლემებს, პლასტიკურობის, ცოცვადობის, გამძლეობის და სიმტკიცის პრობლემებს.

გარსების თეორიის ამ შტოს გამორჩეულ თავისებურებებს წარმოადგენს, ის რომ საანგარიშო განტოლებები მიიღება მასალის რეოლოგიური მოდელის შესაბამისად. წონასწორობის განტოლებებისა და დეფორმაციის გათვალისწინებით, რომელთა სახე არ არის დამოკიდებული მოდელის მასალაზე. გეომეტრიულად წრფივი სახით ამოცანის დასმაში იგება ამოხსნად განტოლებათა სისტემა.

გარსების და ფირფიტების პლასტიკურობის თეორიის აგებისას გამოდიან პლასტიკურობის თეორიის განტოლებებიდან სამგანზომილებიან ამოცანებიდან, თუ არ არის გამოყენებული გარსების და ფირფიტების თეორიის გაანგარიშების აგების პირდაპირი გზა. გამოყენებას პოულობს როგორც დეფორმაციის თეორია, რომელსაც მივყავართ სასრულ დამოკიდებულებამდე, ასევე დენადობის თეორია.

დეფორმაციის თეორია იძლევა არასაიმედო შედეგებს რთული დატვირთვების შემთხვევაში და უფრო სრულყოფილ შედეგებს იძლევა დენადობის თეორია. განსაკუთრებულად ითვლება დენადობის (დატვირთვის ზედაპირი) ზედაპირის აგებულება. ეს და სხვა მთელი რიგი სპეციფიკური

საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია გარსის მასალის პლასტიურობის თვისებებთან განხილულია მთელ რიგ შრომებში, კერძოდ ბ. ა. სავჩუკის[168] და ი. რ. ლეპიკის ორ ნაშრომში “გლუვ დრეკად-პლასტიკურ ფირფიტებისა და გარსების თეორიის ზოგიერთი საკითხები”[132] და “დრეკად-პლასტიკური და ხისტ-პლასტიკურ ფირფიტებისა და გარსების წონასწორობა”. არადრეკადი გარსების პრობლემებთან დაკავშირებით სპეციალურად მიძღვნილი იყო საზაფხულო სკოლები ესტონეთში[142, 143]. ქვემოთ ნაჩვენებია სხვა განხილვებიც.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მუშაობა პლასტიურობის თეორიაში ნ.მ. ბელიაევმა: მას აქვს მოცემული შედარებები სენ-ვენანის – მიზესის – გენკის და რეისის თეორიებისა და მათი განზოგადება. ეს გამოკვლევები მოცემულია სამ ნაშრომში, რომლებიც დაწერილია ნ.მ. ბელიაევის მიერ ა.კ. სინიკისთან ერთად [33-34].

ფიზიკურად არაწრფივი მასალისაგან წარმოქმნილ გარსებს ეძღვნება მიმოხილვა “ფიზიკურად არაწრფივი თხელკედლიანი გარსების მდგრადობა დიდი გადაადგილების დროს” რომლის ავტორებია ვ.ა. ბაჟენოვი, პ.პ. ლიზუნოვი და ვ.ი. გულიაევი [84], ასევე წიგნებივ. პ. ილინის [101] და ვ.გ. პეტროვის, ი.გ. ოვჩინიკოვის და ვ.ი. იაროსლავსკის [103]. ჩამონათვალში უნასკნელ წიგნში განიხილება წრიულ ცილინდრულ გარსების ფიზიკური და გეომეტრიული არაწრფივი თეორიები: მომენტური, ნახევრადუმომენტო და უმომენტო, რომლებშიც წარმოდგენილია განტოლებებით ნაზრდებში, რომელთა ამოხსნა ხორციელდება გაწრფივების პრინციპით ბიჯური მიმდევრობითი დატვირთვათა მეთოდით; ფირფიტებისათვის მიღებულია და ამოხსნილია წრფივი ცვლად კოეფიციენტებიანი განტოლებები მიახლოებითი მეთოდით.

გ.ს. შაპიროს “იდეალურად პლასტიკური ფირფიტებისა და გარსები”[172] სტატიაში განხილულია წრფივი და არაწრფივი ამოცანები, ოპტიმალური პროექტირების ამოცანები, ასევე რკინა ბეტონის ფირფიტებისა და

გარსების გაანგარიშებებში პლასტიურობის თეორიის გამოყენების შესაძლებლობები.

წრიული ფირფიტის დრეკად-პლასტიური და ხისტ-პლასტიური ღუნვა, ასევე წრიულ ფირფიტის ხისტ-პლასტიური დეფორმაციები დარტყმისას განიხილება სხვა სტატიებში გ.ს. შაპირო [173-174]. ფიზიკურად არაწრფივი მასალებისაგან (ანიზოტროპული, შედგენილ) გარსებს ეძღვნება მ.შ. მიქელაძის [150] წიგნი, რომელშიც განხილულია გარსები ხისტპლასტიური და დრეკად-პლასტიური მასალებისაგან, აგრეთვე თანაბარ სიმტკიცისანი ორთოტროპული ერთფენიანი და მრავალფენიანი გარსები.

ა. სავჩუკის [168] წიგნში გამოკვლეულია ის სიტუაციები, რომლებშიც გარსის მასალა არის ან წრფივად ბლანტად დრეკადი ან იმყოფება დამყარებულ ცოცვად მდგომარეობაში, ან დრეკად-პლასტიკურ მდგომარეობაში; განხილულია შრომები, რომლებშიც შეისწავლება გარსების ზღვრული მდგომარეობა და მზიდი შესაძლებლობები რკინაბეტონის გარსებისა (აქ არის შრომები დ. დრუკერის, გ. იზოპის, ა.ა. ილიუშინის, მ.შ. მიქელაძის, ი.ნ. რაბოტნოვის, ვ. ოლშაკის, ს.მ. ფაინბერგის, პ.ხოჯას, რ. შილდას და სხვ.).

ნაშრომში [122], ნაჩვენებია წრფივი თეორიის გამოყენება, როდესაც გარსი განიცდის დიდ ძვრებს და დიდ დეფორმაციებს, რომლებიც წარმოიშვებიან დრეკადობის ზღვრის მიღმა, იმ პირობებში როდესაც არ ვითვალისწინებთ ან ვითვალისწინებთ განივ ძვრებს. წონასწორობის განტოლებები მიღებულია შესაძლო გადაადგილებების პრინციპის საფუძველზე, სისქის რეგლამენტირებული შეცვლის ჰიპოთეზის გამოყენებით. კლასიკური მეთოდი გამოყენებულია ახალ გეომეტრიულ ფორმულირებასთან ერთად, რომელსაც მივყავართ ერთობლივი დეფორმაციის პირობების უბრალო აღწერასთან წრფივი განზოგადოებული დეფორმაციის ტერმინში, ისევე როგორც განზოგადოებული ფუნქციის პირობის ტერმინში. განხილულია მრავალ კავშირიანი გარსების შემთხვევა. გამოყენებულია ვარიაციული მიდგომა, როგორც ლაგრანჟის, ისე კასტილიანის ფორმით. პრაქტიკული გაანგარიშებისათვის აღებულია სასრულ ელემენტთა მეთოდი

(ს.ე.მ.) მრუდწირული სასრული ელემენტებით კომბინაციაში ბიჯურ პროცესებთან.

ავღნიშნოთ ა.ვ. ბურლაკოვის და კ.გ. იბრავისორი წიგნი [42 და102]. მათ აქვთ ოდნავ განსხვავებული დასახელებები, მაგრამ სხვადასხვა შინაარსი. პირველ მათგანში განხილულია ხანგრძლივი სიმტკიცის კრიტერიუმები და გარსების რღვევების ექსპერიმენტალური გამოკვლევები. მეორე წიგნში ერთგანზომილებიან ამოცანებთან ერთად არის ორგანზომილებიანი ამოცანებიც განხილული.

ა.ნ. პოდგორნის, ვ.ვ. ბორტოვის და ვ.დ. კოლომაკას წიგნში [108] გარდა იმისა, რომ აგებულია ამოხსნად განტოლებათა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ცოცვადობას, განხილულია ღერძ სიმეტრიული და არაღერძსიმეტრიული დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა (დ.დ.მ.) და მოქნილი იზოტროპულ და ანიზოტროპული გარსების მდგრადობა მუდმივი და ცვლადი სისქით.

ავღნიშნოთ კიდევ ორი პუბლიკაცია გარსებზე, რომლებიც დამზადებულია ცოცვადი მასალისაგან. ესენია ი.ი. გოლდენბალატის და ნ.ა. ნიკოლაენკოს [61] და ზემოთ ნახსენები წიგნი ი.გ. ტერეგულოვის[170].

ორი შრომის მიმოხილვა, რომელშიც განხილულია სხვადასხვა რეოლოგიური თვისებების მქონე მასალის გარსები ეკუთვნის ე.ი. გრიგოლიუკს [74]. ე. ი. გრიგოლიუკი აღნიშნავს ამ კლასის ამოცანების ამოხსნის სირთულეს, წარმოშობილს გარსის სისქეზე არაწრფივი ნორმალური ძაბვების განაწილების, რომელიც წარმოადგენს წრფივი ნორმალური ელემენტის ჰიპოტეზის გამოყენების შედეგს.

მ.მ. გრიშინის და სხვების წიგნში[78] გამოკვლეულია სწორკუთხა ფირფიტების ღუნვადრეკადობის ზღვარს იქით. წიგნი[96] ეძღვნება მინაპლასტიკის განდამზადებულ ფირფიტებისა და გარსების ღუნვას.

ს. ი. კარინსკის და ჟ.კ. მასანოვის [109] წიგნში მასალის რეოლოგიური თვისებები გათვალისწინებულია მდგრადობის პრობლემებში; ავტორებმა წარმოადგინეს გამოკვლევები ზოგად გარსების თეორიაში, აღნიშნეს მდგრად-

დობის განტოლების აგების გზები და ტიმოშენკოს გარსის ტიპის თხელკედლიანი სისტემის დინამიკა და უჩვენეს ანიზოტროპული გარსების გაანგარიშების მეთოდები. ამავე წიგნში განხილულია ასევე საკითხები, როგორც კომპოზიციური მასალის გარსების ოპტიმალური პროექტირების პრობლემა, მეთოდისა და შედეგები ექსპერიმენტალური გამოკვლევების. ამოხსნილია მთელი რიგი ამოცანების (ცილინდრული გარსების ხანგრძლივი და ხანმოკლე დატვირთვების ქვეშ, დინამიკური მდგრადობა ცილინდრული გარსების მასალის სიბლანტის გათვალისწინებით); მოყვანილია დამაბულობის ეპიურები, გრაფიკები, სხვადასხვა სიდიდის იზოხაზები.

ისევე როგორც სხვადასხვა სისტემების თეორიაში, გარსების თეორიაში ერთ-ერთ მტკივნეულ მხარედ ითვლება მთლიანად კონსტრუქციის საიმედობის განსაზღვრის არასრული მეთოდი. გაანგარიშების კრიტერიუმები არ იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ დიდი მარაგი დასაშვები დამაბულობისას, რომლებიც გააჩნია კონსტრუქციას; ამასთანავე ასეთი არასრული შეფასების მისაღებად საჭიროა კოლოსალური ძალების ფასად მივიღოთ ფართო ინფორმაცია, თუმცა პრაქტიკულად რომლის მცირე ნაწილიც არის გამოყენებული. მთელ რიგ შემთხვევებში უფრო რაციონალურია (ეკონომიკის, სისწორის აზრით) შეფასება საიმედობის ზღვრულ მდგომარეობაში, ამ მასალის მუშაობისას პლასტიურობის არეში და მთლიანად კონსტრუქციის ქცევა. ასეთ გაანგარიშებებს აქვთ დიდი სპეციფიკა.

ძალიან ხშირ შემთხვევაში ამოცანის დასმა ასეთია, რომ ერთადერთ მისაღებად ითვლება დრეკადობის გაანგარიშებები. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც რომ სასაზღვრო მდგომარეობაში გაანგარიშებები დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებული წვლილი თხელკედლიანი კონსტრუქციების სასაზღვრო მდგომარეობაში გაანგარიშებების გაფართოებაში შეიტანეს მეცნიერებმა: ა.ა. გვოზდევმა, ა.მ. პროცენკომ, ა.რ. რჟანიცინმა, ა.მ. სვეჩკინმა, ნ.ვ. ახვლედიანმა, პ.მ. ვარვაკმა, მ.შ. ვარვაკმა, ა.ს. დეხტიარმა, ა.ო. რასკაზოვმა, ა.მ. დუბინსკიმ, მ.ი. ერხოვმა, გ.კ. ჰაიდუკოვმა, ლ. გალინმა, ზ. გედენიძემ, ი.

ლუღუშაურმა, ა. ხვოლესმა, ა. მოწონელიძემ, ნ. მოწონელიძემ, ნ. კოდუამ, მ. ყალაბეგიშვილმა, გ. ყიფიანმა, რ. ცხვედაძემ, ასევე უცხოელმა სპეციალისტებმა პ. ხოდჯ, დ. დრუკერი, ვ. პრაგერი და სხვები. ავღნიშნავთ ა.ა. გვოზდევის და ა.მ. პროცენკოს მიმოხილვას “გარსებისათვის სასაზღვრო წონასწორობის თეორიის დანართის პერსპექტივები” და მონოგრაფია ა.პ. რჟანიცინის[162]. დიდ ინფორმაციას შეიცავს წიგნი ვ. გ. აივაზიანის[8], სადაც მოცემულია გაანგარიშებების ზოგადი თეორია სასაზღვრო მდგომარეობაში, მითითებულია გარსებისათვის დენადობის პირობები, გამოკვლეულია სასაზღვრო მდგომარეობა წრიული ფირფიტებისათვის, ასევე ცილინდრული, კონუსური, სფერული და დამრეცი გარსების.

კონსტრუქციის სასაზღვრო მდგომარეობაში გაანგარიშებებს ეძღვნება ა.ო. რასკაზოვის [164] წიგნი, რომელიც დაწერა ა.ს. დეხტირესთან ერთად, წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა გეგმაში წრიულ ბრუნვით გარსებს და გეგმაში სწორკუთხა ჰიპარებს.

ტექნიკის მთელ რიგ სფეროებში მთავარ პრობლემებს თხელკედლიანი კონსტრუქციების დაპროექტებისთვის წარმოადგენს პრობლემა თერმოდრეკადობისა და თერმოპლასტიურობის შესახებ. იმ შრომებს შორის, რომლებიც მიემდვნა ამ პრობლემებს აღნიშვნის ღირსია შემდეგი მოხსენებები: “ფირფიტებისა და გარსების თერმოდრეკადობა” ა.დ. კოვალენკოს[133], “თერმოპლასტიურობის დინამიური ამოცანები ბრუნვითი გარსებისათვის” ვ.გ. ბაჟენოვა[17].

ვ. ი. გოლოვანის წიგნი[59] სპეციალურად ეძღვნება თერმულ დაძაბულობებს.

მ.დ. მიხაილოვის წიგნში[153] გამოკვლეულია ტემპერატურული ველის არასტაციონარობის გათვალისწინება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმფრინავმშენებლობის, რაკეტმშენებლობის, ტურბომშენებლობის და ტექნიკის სხვა დარგებში, სადაც გამოიყენება გარსული კონსტრუქციები, რომლებიც საჭიროებენ გაციებას. ასეთი კონსტრუქციების კედლები მზადდება ფორებიანი მასალისაგან და მათი გაციება ხორციელდება

თბომატარებლების ჩაბერვით. ამ დროს წარმოქმნილი პრობლემები წყდება არასტაციონარული ერთგანზომილებიანი პროცესებით.

თხელკედლიანი კონსტრუქციების თერმოდრეკადობის დარგში დიდ სპეციალისტად ითვლებოდა ა.დ. კოვალენკო. მის წიგნში [135] გამოკვლეულია წრიული ფირფიტის ზედაპირზე თერმოდრეკადობის დინამიური ამოცანები სითბური დარტყმის დროს საკითხის ორ ვარიანტში დასმისას დეფორმაციული და ტემპერატურული ველების კავშირების გათვალისწინებით და არ გათვალისწინებით. ამ წიგნშივე ამოხსნილია ამოცანა თბურ დამაბულობებზე წრიულ ფირფიტებში წრფივი და ცვლადი სისქით, ასევე ცილინდრულ, სფერულ და გუმბათოვან გარსებში.

ვ.მ. რასუდოვის, ვ.პ. კრასილოვის და ნ.დ. პანკრატოვას წიგნში [163], კერძოდ, განხილულია თერმოდგრადობა ფირფიტებისა და დამრეცი გარსების, წრფივი განაწილებისას სისქეზე ტემპერატურული შეზრდის პირობებში.

ნ. ა. ალუმიანს [10] სტატია სპეციალურად მიძღვნილია გარსების თეორიაში თერმული ეფექტების გათვლაზე.

შევჩერდეთ შემდეგ წიგნებზე: მ.ი. გრიგოლიუკი, ი.ს. პოდსტრიგაჩი და ი.ი. ბურაკი [70]; მ.ი. გრიგოლიუკი, ვ. მ. ტოლკაჩევი [71] და ბოლოს ი.ი. ბურაკი [41]. პირველ წიგნში განხილულია კვაზი სტატიური და დინამიური ამოცანები თერმოდრეკადობის (მასალა იზოტროპულია ან ანიზოტროპული) და თერმობლანტ დრეკადი ფირფიტებისათვის და ამავე დროს გათვალისწინებულია სითბოს გაცვლა და მასალების ფიზიკო-მექანიკური თვისებების დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

ლ. ა. გალინის წიგნში [52] განხილულია დამაკავშირებელი საკითხები ბრუნვითი გარსებისათვის და დამრეცი გარსებისათვის, გახურების რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანები და კონცენტრატორების მახლობლად დამაბულობის ველების განსაზღვრა. [57]-ში ძირითადი ყურადღება ექცევა დამაბულობების ოპტიმიზაციის მათემატიკურ მეთოდებს თხელ დამრეცი გარსებში დაბრუნვითი გარსებში, ფირფიტებზე გახურებისას ადგილობ-

რივი და ძალისმიერზე მოქმედებას, ასევე მასალების დახასიათებას რომლებიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე; გარდამავალი პროცესების ოპტიმიზაციის პრობლემებს თერმოდრეკადობის გარსებში ამოცანების სხვადასხვა სახით დასმისას ეძღვნება მ.ი. გრიგოლიუკის წიგნი[72]. მასში გაკეთებულია აქცენტი დინამიური ეფექტების დაწვევაზე და დამაბულობის დონეზე ინტენსიური დატვირთვის პირობებში და ტემპერატურული ველის ცვლილება.

ი. მ. გრიგორენკოს წიგნი[76] მოყვანილია საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავენ ტემპერატურულ დამაბულობებს, განიხილება ტემპერატურული დამაბულობები ფირფიტებში (მემბრანული და ლუნვადი) კოჭებში და წრიულ ცილინდრებში, ნებისმიერი ფორმის გარსებში, წრიულცილინდრულ გარსებზე, ყალიბდება პირობები დეფორმაციების ერთობლიობისა გარსულ კონსტრუქციებში, განიხილება დანაკარგები მდგრადობისა თბური მოქმედებისას და სითბოგამტარობა კონსტრუქციებში. არის მსჯელობა პროექტირების სხვადასხვა პრობლემებისა – ოპტიმიზაცია, არადრეკადი დეფორმაციების აღრიცხვა, ციკლური თბური ზემოქმედება, დამოკიდებულება მასალების თვისებებისა ტემპერატურაზე და სხვა.

სხვა, შედარებით ახალი პრობლემა ფიზიკური ველების ურთიერთქმედებისას წარმოადგენს გარსების მაგნიტოდრეკადობა. გარსების თეორიის ამ ნაწილს ეძღვნება წიგნი ს.ა. ამზარცუმიანის, გ.ე. ბაგდასარიანის, მ.ბ. ბელუბეკიანის[12].

უცხოური ნაშრომებიდან, რომლებშიც განხილულია მაგნიტოდრეკადობა გარსების, აღსანიშნავია სტატია ა.ვ. ალექსანდროვის[11]. ამ ნაშრომში ავტორი ავრცობს თერმომექანიკური ეფექტების თეორიას, ელექტრომაგნიტურის ჩათვლით, კერძოდ კოსერის ზედაპირებისათვის. განიხილება სიმეტრიის სხვადასხვა ტიპები, დაკავშირებული ანიზოტროპულობასთან, კოსერის ფირფიტების წრფივი თეორია, კოსერის ზედაპირის ნაწილობრივ შეკუმშული თეორია, რომელიც შეესაბამება გარსების და მემბრანების თეორიას. განიხილება აგრეთვე თერმომექანიკური, ელექტრომაგნიტური

ეფექტები ფირფიტების, რომლებიც დამზადებულია არაგამტარი მასალი-
საგან, პიეზოელექტრული ეფექტები ფირფიტების, რომლებიც დამზადებუ-
ლია იმავე ბუნების კრისტალებისაგან. ამავე ნაშრომში წრიული ცილინდ-
რული უმომენტო გარსი, ასევე ხისტი გარსი განიხილება როგორც მეხამ-
რიდი. ამ შრომაში არის ოთხი დამატება, რომელიც ეძღვნება: ა). ელექტრო-
მაგნიტიზმის სამგანზომილებიანი თეორია მოძრავ დეფორმირებად სხეულ-
ში; ბ). აპარატს, რომელსაც აქვს ადგილი გარსების თეორიის აგებისას კლა-
სიკური მექანიკის სამგანზომილებიანი კონტინუუმის საფუძველზე; გ).
გელმგოლცის ფუნქციის თავისუფალი ენერჯის სამგანზომილებიან თეო-
რიაში, რომელიც ეხება მაგნიტურ პოლარიზებულ თერმოდრეკად გარსებზე
სხვადასხვა თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირე-
ბულია შეზღუდვებთან, რომლებიც გამოწვეულია სიმეტრიების გამო; დ).
ინფორმაცია სამგანზომილებიან თეორიაზე მაგნიტურ პოლარიზებულ
თერმოდრეკად მყარ სხეულებზე, რომლებიც გამოყენებულია ფირფიტების
თეორიაში.

1.3. კერძო სახეების ზედაპირის გარსები

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ გარსები კერძო ფორმით
ცილინდრული, კონუსური, სფერული ტორისებური, ბრუნვითი
გარსები თავისუფალი ფორმის, დამრეცი გარსები, გადატანის გარსები,
ჰიპერბოლური პარაბოლოიდური (ჰიპარი) ფორმის გარსები და
სხვები. ბოლო წლებში განიხილება გარსების ისეთი ფორმები,
რომლებიც ითვალისწინებენ სხვადასხვა თავისებების შესწავლას
კონსტრუქციისას, მასალისას, შიდა ძალებზე ისეთი, როგორცაა
ფენოვობა, ანიზოტროპულობა, კუთხეების დაბოლოების
რაოდენობაზე, დინამიურ დატვირთვებზე, ტემპერატურის
ზემოქმედებაზე და ა.შ. ზოგიერთი ასეთი საკითხი ზემოთ უკვე იყო
აღნიშნული აქ მოყვანილი ფაქტორების ნიშნებით. მოვიყვანთ
ზოგიერთი წიგნების შესახებ მონაცემებს.

ბრუნვით გარსებს, რომლებსაც ბოლო არა აქვს დახშული წვეროში, ეძღვნება წიგნი დ.ვ. ვაინბერგის და ვ.ზ. ჟდანის[44]; ავტორები იყენებენ ფორმების მიახლოებით წარმოდგენებს ისეთ გარსებზე, რომლებსაც აქვთ მოკლე კონუსური და ცილინდრული გარსები დაკავშირებული-შეკრული ერთმანეთთან. დიფერენციალური განტოლებების ჩაწერის და ამოხსნის ყველა ეტაპზე გაანგარიშებისა და ბოლო პასუხების მიღებისას გამოიყენება მატრიცული ფორმალიზმი. ასეთი მიდგომის იდეა ახლოა სასრული ელემენტების მეთოდთან და საწყისი ფუნქციის მეთოდთან.

ი.მ. გრიგორენკოს წიგნში[77] განხილულია ფენოვანი გარსები (იზოტროპულია ან ანიზოტროპული), რომელიც იმყოფება არაერთგვაროვანი დატვირთვების მოქმედების ქვეშ და არასტაციონალურ ტემპერატურულ ველში. გაანგარიშების შედეგების საფუძველზე, რომლებიც მიღებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით (ს.ე.მ.) და წარმოდგენილია წიგნში გრაფიკული და ასევე ცხრილების სახით, გაკეთებულია დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის (დ.დ.მ.) ანალიზი, რომელიც დამოკიდებულია კონსტრუქციის ფორმის პარამეტრების მნიშვნელობაზე, მასალაზე და შიდა ძალების მოქმედებაზე.

ი.ი. ამიროს წიგნის [13] გამორჩეულ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ მასში განიხილება საშუალო სისქის გარსები, რომელიც აღწერილია სამგანზომილებიანი განტოლებებით. ეს გვაძლევს საშუალებას გავანალიზოთ ცდომილება ორგანზომილებიანი განტოლებისა, უფრო მკაცრად შევაფასოთ სასაზღვრო ეფექტი, ამავე დროს დრეკადობის თვისებების განაწილება გარსის მთელ სისქეზე მიღებულია თავისუფლად.

ე.გ. გოლოსკოკოვის წიგნში[135] ბრუნვით გარსებთან, განივ-გოფირებულთან ერთად განხილულია გრძივად-გოფირებული სქელკედლიანი ცილინდრული გარსები მუდმივი და ცვლადი სისქით. გაანგარიშება რეალიზებულია ეგმ-ზე და განხორციელებულია შეშფოთების თეორიის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დიდ და საჭირო სიზუსტეს. დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა (დ.დ.მ.) ნაპოვნია კონსტრუქციების და მა-

სალების ფუნქციებში. მთელი ინფორმაცია მოცემულია გრაფიკებით და ციფრული ცხრილებით.

ბრუნვითი გარსები ფიგურირებენ მთელ რიგ სხვა შრომებში და ასევე ამ შრომების სხვადასხვა განყოფილებებში[12, 25, 54, 57, 75, 88, 102, 138].

ბრუნვით გარსებთან ერთად, ბევრ მასალებში განხილულია აგრეთვე კერძო სახე, მაგალითად სფერული გარსები.

სფერულ გარსებს სპეციალურად ეძღვნება შრომები ა.ნ. გუზის და თანაავტორები[82-83], ა.ი. ლურიე[147], ა.დ. ლიზარევა და ნ.ბ. როსტანინა[148], ასევე წიგნები ე.ი. გრიგოლიუკი და ვ.ი. მამაია[68] და [69]. უკანასკნელ წიგნში მოცემულია განხილვა ექსპერიმენტული შრომებისა სფერული გარსების, რომლებიც შესრულებულია მდგრადობისა და სტატიკური დატვირთვის დროს არაწრფივი მოქმედებისა, ასევე რხევებისა და მუშაობის პირობებში, შეუძლიათ გამოიწვიოს დინამიური მდგრადობის დაკარგვა. აღწერილია დანადგარები, სტენდები და მეთოდური გამოკვლევები. გარდა შედეგებისა, რომლებიც მიღებულია მოდელებზე ექსპერიმენტებისაგან, მოცემულია ინფორმაცია სრულ გამოცდებზე, მოცემულია ნახევრად-ემპირიული ფორმულა კონსტრუქციის გაანგარიშებისა.

სფერული გარსები ითვლებიან სხვადასხვა ასპექტში შესწავლის ობიექტებად და განხილულია მთელ რიგ შრომებში. ასეთ შრომებს მიეკუთვნება[51, 52, 54, 82, 87, 103, 110].

ანალოგიურად ცილინდრული გარსებიც ექვემდებარებოდნენ შესწავლას და ბევრ სხვა შრომებში განიხილებოდნენ, მაგრამ სათაურად შრომებისა ამ ტიპის გარსების სახელები არ ფიგურირებდნენ. მაგალითებად შეიძლება გამოდგეს[11, 12, 15, 48, 51, 52, 54, 58, 59, 60-62, 82, 92, 102, 103, 110]. ამის გარდა არის შრომები, რომლებშიც ძირითადად განიხილება ცილინდრული გარსები; ეს არის შემდეგი წყაროები[20, 53, 72, 74, 76, 85, 104, 105, 136, 144] და სხვები, რომლებზეც ლაპარაკია ქვემოთ.

არასტანდარტული ფორმის ცილინდრული გარსები განხილულია წიგნში ი.მ. გრიგორენკო, ა. ტ. ვასილენკო, ნ.დ. პანკრატოვა[77]. მასში

განხილულია ფენოვანი ორთოტროპული გარსები მიმმართველით არა გარშემოწერილობის ფორმით, მათ შორის განივ-გოფირებული და განივად-წახნაგოვანი გარსები, ასევე გარსები მიმმართველით, რომელსაც წარმოადგენს გარშემოწერილობა, მაგრამ მის გასწვრივ ცვლადი სისქით გამოკვლეულია ელიფსის ექსცენტრისიტეტის ზემოქმედება დამაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე (დ.დ.მ.)-ზე. წარმოდგენილია პროგრამის გაანგარიშება ეგმ-ზე და მისი შედეგები-ცხრილების და გრაფიკული ფორმით.

ცილინდრული გარსები წარმოადგენს განხილვის ობიექტს ს.ნ. კანის და ი.ი. კაპლანის წიგნში [105], ასევე გ.ს. შაპიროს სტატიებში [173, 174]. [105]-ში მოცემულია დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა (დ.დ.მ.)-ის განსაზღვრის მიახლოებითი მეთოდი, მოცემულია ფორმულები, ცხრილები, გრაფიკები განუსაზღვრელი სიდიდეებისათვის, გამოიყენება პირობა კონტურის განივი კვეთის გაუჭიმვობის ზომა და ძვრადობის არარსებობა. ყველა საძებნი ფუნქცია ორი ცვლადის მიმართ იძებნება წარმოებული ფუნქციის წრფივი კომბინაციით ერთი ცვლადით.

ცილინდრული გარსების რიცხვითი გაანგარიშების აპარატის გამართვებას, ვ.ზ. ვლასოვის მიხედვით, ეძღვნებაა. დ. კოვალენკოს ნაშრომი [136].

კონუსური გარსების გაანგარიშების თეორია განხილულია უკვე ნახსენებ წიგნში ა.ნ. გუზის და სხვ. [82]-ში და ა.დ. კოვალენკოს ფუნდამენტალურ გამოკვლევებში [134]; ესენი დაკავშირებულია მანქანათმშენებლობის მოთხოვნებთან, კერძოდ ტურბომშენებლობასთან.

1961 წელს ა.დ. კოვალენკო გამოვიდა ფართო მოხსენებით “გარსების გაანგარიშების თეორიის განვითარება მანქანათმშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში”. მის წიგნში [135] მოცემულია ზუსტი გაანგარიშება წრიული ფირფიტებისა და ბრუნვითი გარსებისა, მიღებული სპეციალური ფუნქციების გამოყენებით. შედეგი ადაპტირებულია ინჟინრული გაანგარიშებებისათვის. გრაფიკებში და მრავალრიცხოვან ცხრილებში მოცემულია

რიცხვითი მნიშვნელობები გამოყენებული სპეციალურ ფუნქციებში და გაანგარიშების შედეგები.

ა.დ. კოვალენკოს, ი.მ. გრიგორენკოსდან.ა. ლობკოვის წიგნში[136] აღწერილია ისეთივე გაანგარიშების მეთოდი, როგორც[133]-ში და მოცემულია კერძო გამოთვლების ცხრილები. ა.დ. კოვალენკოს, ი.მ. გრიგორენკოს და ლ.ა. ილინას წიგნში[135] განხილულია ზემოქმედება დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა (დ.დ.მ.)-ზე ღერძსიმეტრიული, ირიბსიმეტრიული და ციკლურად სიმეტრიული დატვირთვებისა და არათანაბარი გახურებისა. გაკეთებულია დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა (დ.დ.მ.)-ის ანალიზი სიხისტის, რომელიც დამოკიდებულია დატვირთვების სახეობაზე და გეომეტრიული პარამეტრების სხვადასხვა მნიშვნელობებზე. ა.დ. კოვალენკო და სხვების წიგნში[133] გარდა კონუსური გარსებისა განხილულია დრეკადი სისტემები, რომლებიც შედგება რგოლებისაგან, წრიული ფირფიტებისაგან, ცილინდრული და კონუსური გარსებისაგან. მოცემულია ფორმულები და ცხრილები კერძო ამონახსნით გარსების გაანგარიშებისათვის, რომელსაც აქვს მუდმივი და წრფივი-ცვლადი სისქე, ასევე ფირფიტებისა წრფივად ცვლადი სისქით. გარდა ამ წიგნებისა, ა.დ. კოვალენკოს შრომების შედეგები გამოქვეყნებულია[134]-ში, სადაც მოცემულია ნარკვევი მისი ცხოვრების შესახებ.

კონუსური გარსები განხილულია გ.ს. შაპიროს სტატიაში[174] და მთელ რიგ შრომებში, რომლებიც განხილულია სხვა თავებში[14, 16, 17, 51, 54, 60-62, 82, 87, 103, 154].

ტორინდალური გარსები გამოკვლეულია ე. ი. გრიგოლიუკის წიგნში[64] და ვ.ნ. ბულგაკოვის[40]-ში. ამ უკანასკნელში ბრუნვითი გარსებისათვის სტატიკის ძირითადი განტოლებების მსგავსად, კერძოდ ტორინდალური გარსებისა მოცემულია აღწერა მეთოდებისა, რომელშიც მოცემულია განტოლების ამოხსნა.

იმ პუბლიკაციებიდან, სადაც შეისწავლება გარსები შუალედური ზედაპირებით ჰიპერბოლური პარაბოლოიდის(ჰიპარი) ფორმის, აღნიშვნის

ღირსია წიგნი ე.ი. გრიგოლიუკის[73], სადაც მოცემულია ჰიპარების თეორიის დაზუსტება მოჭიმვების დეფორმაციის გათვალისწინებით დაიყვანება უბრალო ფორმულებზე, გამოიკვლევა გარსის მზიდუნარიანობა მასალის დრეკადობის ზღვარზე მუშაობისა, რომელიც განისაზღვრება კინემატიკური მეთოდით დისკრეტულ მდგომარეობაში დაყენებით. თეორიის გამოყენების შედეგების შედარება ხდება ექსპერიმენტებით მიღებულ შედეგებთან, რომლებიც ჩატარებულია დრეკადობის არეში მასალის მუშაობისას, ისე მოდელის დაყვანით დაშლამდე. გაანგარიშების შედეგები მოცემულია გრაფიკების და ცხრილების სახით.

ი.ე. მილეიკოვსკის და ა.კ. კუპარას წიგნში[156] მოცემულია არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა ჰიპარის ტიპის გარსებისა, მოცემულია უმომენტო და მომენტური თეორია დამრეცი ჰიპარების გაანგარიშებისას კვადრატულ მეტრზე.

ჰიპარებს ეძღვნება წიგნი ნ.პ. აბოვსკის და ი.ი. სამოლიანოვის[3-4].

გარსები, რომელთა შუალედური ზედაპირი წარმოადგენს გადატანით ზედაპირს, დადებითი, ნულოვანი და უარყოფითი გაუსის სიმრუდით განხილულია წიგნში ვ. ი. კოროლევის[141]. მასში დამრეცი გარსებისათვის გადაადგილება წრფივი მომენტების თეორიის წარმოდგენილია ერთი განტოლებით, ხოლო გარსებისათვის სწორკუთხა გეგმით ეს განტოლება შეიძლება ამოიხსნას ისე, როგორც ეს გაკეთებულია წრიულ ცილინდრულ გარსებზე. [110]-ში განხილულია გარსის ორთოტროპულობა, ამავე დროს გარსი შეიძლება შედგებოდეს ფენებისაგან და თითოეულ ფენაში ორთოტროპულობის მიმართულება ყველგან პარალელურია დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა (დ.დ.მ.)-ის მთავარი მიმართულებისა. არაერთგვაროვანი გარსების ქვეშ იგულისხმება გარსები ცვალებადი სისქით ან გამაგრებული წიბოებით. განხილულია კონსტრუქციის მოდელები, პრაქტიკაში გამოყენებულთან ახლოს მყოფი და ამოხსნა დაიყვანება რიცხვებამდე.

ნაშრომში[151] ასევე განხილულია ჰიპარები.

დამრეც გარსებს ეძღვნება ბევრი წიგნი. იმ გამოცემებს შორის, რომლის სათაურში შედის დასახელება “დამრეცი გარსები” და რომლებიც ზემოთ მოიხსენებოდნენ, იყო[21, 151]. გარდა ამისა, ავღნიშნავთ ნ.პ. აბოვსკის და ი.ი. გეტცის წიგნს[1, 2], ასევე წიგნები ნ.პ. აბოვსკის, ი.ი. სამოლიანოვას და დ.ა. პასკოს[4] და ნ.პ. აბოვსკის, ვ.ნ. ჩერნიშევას და ა.ს. პავლოვას[5].

ავღნიშნავთ კიდევ ხუთ ნაშრომს, რომლებიც ეძღვნება დამრეც გარსებს, ეს წიგნებია ი.ი. ვეკუა[48], ვ.ვ. დიკოვიჩი[91], პ.ა. კუზინი[144], მ.ი. ლეონოვი [146].

მონოგრაფიაში[141] გარდა საერთო შეფარდებებისა თავისუფალი ფორმის გარსებისათვის განხილულია კერძო შემთხვევა, რომელიც შეესაბამება დამრეც სფერულ და სწორკუთხა გეგმაში გლუვ გარსებს და მოცემულია გაანგარიშების ფორმულები, მოყვანილია მრავალი რიცხვითი მაგალითი, რომელთა შედეგებიც მოცემულია რიცხვით ცხრილებში და გრაფიკებში.

წიგნი[151]-ის განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ მასში განხილულია დამრეცი გარსები, განხილულია როგორც ერთგვაროვანი, ისე ფენოვანი (მათ შორის ნაკლებად ხისტი შუალედური ფენებით) თავისუფლად განაწილებული დრეკადობის თვისებების მთელ სისქეზე დაღუნვაზე, სისქესთან თანაფარდობაში. აღნიშვნის ღირსია გაანგარიშების თეორიის აგება, რომელიც ითვალისწინებს განივ ძვრებს(ორი მიახლოება). ს. ლუკასევიჩი[149] მიერ, კერძოდ განხილულია გარსების გაანგარიშება სასაზღვრო წონასწორობის მეთოდით და პროექტირება დანაოჭებული და ტალღისებური გადახურვის მინიმალური თეორიული წონით, ასევე გადახურვები სიმაგრისა და ყველაზე დიდი მზიდუნარიანობისა.

დამრეც გარსებს ეძღვნებ აწიგნები ი.ი. ვეკუა[50], ბ.ი. კანტორა[106-107]. ბ.ი. კანტორამ გამოიკვლია მთელი რიგი საკითხებისა: ფიზიკური და გეომეტრიული არაწრფივი ამოცანები არაერთგვაროვანი დამრეცი ცვლადი სისქის კონუსური და სფერული თაღებისა და ფირფიტების თეორია,

რომლებიც იმყოფებიან დატვირთვის ქვეშ და ტემპერატურული ველის ცვლილების ქვეშ(დრეკადი მუდმივების ტემპერატურის დონესთან დამოკიდებულების გათვალისწინებით). შესწავლილია პლასტიურობის მდგრადობის კრიტერიუმები კუმშვადობის გათვალისწინებით და მასალის განმტკიცების გათვალისწინებით. გათვალისწინებულია არაერთგვაროვნება პლასტიურ თვისებებისა, რომლებიც გამოწვეულია თერმოდამუშავებით, ზედაპირული დაფარვით, გამოსხივება სწრაფი ნეიტრონების ნაკადით. განხილულია დინამიური ამოცანები. გაანგარიშებები ორიენტირებულია ეგმ-ების გამოყენებაზე. მოყვანილია გაანგარიშების ფორმულები, პროგრამის ბლოკ-სქემა, შედეგები წარმოდგენილია გრაფიკის სახით.

განვითარდა დამოუკიდებელი შტო საერთო თეორიის-რბილი გარსების თეორია. ეს აიხსნება მათი დეფორმაციის სპეციფიკური თავისებურებებით, ღუნვისა და კუმშვის წინააღმდეგობის უუნარობით. ასეთ გარსებს ეძღვნება ფართო ლიტერატურა, საიდანაც ავლნიშნავთ სტატიებს: “რბილი გარსების თეორია”[58], და “რბილი გარსების საერთო თეორიის საფუძვლები”[75]. “გაშლილი რბილი გარსების კავშირი ერთფუძიან მდგომარეობასთან[110]. “რბილი სფერული გარსების წონასწორობა ჰაერის ნაკადის ზემოქმედების დროს”[153] და სხვა.

ვ.ე. მაგულის წიგნში[151] ნაჩვენებია რბილი გარსების გამოყენების მაგალითები საზღვაო კონსტრუქციებში და დამუშავებულია მეთოდები მათი გაანგარიშებისა და პროექტირებისათვის. იმავე ავტორის წიგნში განხილულია რბილი გარსების ძირითადი ტიპების ექსპლუატაციის თავისებურებები (მათ შორის სპეციალური კითხვები) და მოცემულია ზოგადი ცნობები, მეთოდოლოგია და გაანგარიშების პრინციპები.

გემთმშენებლობის გარდა რბილი გარსები გამოყენებულია სახალხო მეურნეობის ბევრ სხვა სფეროში. ამ საკითხებს ეძღვნება შრომების კრებული[82] და [154], პასუხისმგებელ რედაქტორს წარმოადგენს ი.ი. ვოროვიჩი.

ყურადღებას იპყრობს ბადისებრი კონსტრუქციები, გაანგარიშებული აპარატის საფუძველზე, რომელიც აგებულია გარსების თეორიის მოდელზე. სამუშაოს ანალიზი, რომელიც ეძღვნება ასეთ კონსტრუქციებს(გარსებს), მოცემულია მიმოხილვაში “უმომენტო ბადისებრი გარსების გაანგარიშება”[65] ე.ი. გრიგოლიუკი, მასში განხილულია ტექნიკური ამოცანები, რომლის ამოხსნისათვის მართებულია გარსების სახით გაანგარიშების სქემის მიღება, თუმცა თვითონ კონსტრუქცია ბადისებრია, ე.წ. ბადისებრი გარსები, ან რეზინოკარდონული (პნევმატური სალტეები, ამორტიზატორები), ან ვანტური ბადის ტიპის, ქსოვილის გარსის, გარსები ორიენტირებული მინაპლასტიკისაგან. ბადისებრი გარსების თეორია დეტალურად განხილულია ე.ი. გრიგოლიუკის წიგნში[66]. თეორია აგებულია კონტინუალურ გაანგარიშების მოდელზე, რომელიც გამოყენებულია სტატიკის, მდგრადობის და დინამიკის ამოცანებში ფირფიტებისა და გარსებისათვის. განხილულია კონსტრუქციის ოპტიმიზაციის პრობლემები, კერძოდ ამოცანის არაწრფივად დასმაში.

თეორიის აგების გზების შესახებ საუბრისას, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ წრფივი, არამედ გეომეტრიული და ფიზიკური არაწრფივი სისტემები.

ზემოთ უკვე ნაჩვენები იყო გარსების თეორიის აგების ანალიტიკური და პირდაპირი გზები. პირველ მათგანს შეიძლება მივაკუთვნოთ ასიმპტოტური მეთოდები, რომლებიც უკვე ვახსენეთ ზემოთ, და ყველა გეომეტრიული და მექანიკური სიდიდეების დაშლა ამ ან მსგავს რიგებში: კოორდინატების ხარისხებად, გამოთვლები სისქის მიმართულებით ან რომელიმე სპეციალური ფუნქციების სისტემებად.

ასეთი მიდგომა უფლებას გვაძლევს მივიღოთ საშუალო სისქის გარსების თეორია სამგანზომილებიანი თეორიის განტოლებიდან გამომდინარე დაშლის გზით ან აპროქსიმაციის გზით.

გარდა ადრე ნახსენები ნაშრომისა, რომელშიც ნათქვამია ასიმპტოტური მეთოდების გამოყენებაზე, ავღნიშნავთ მ. ი. ლეონოვის ნაშრომს[146].

განვითარება ჰპოვეს მყარი დეფორმირებული სხეულის მექანიკის იმ ნაწილებმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ გარსების ტექნიკური თეორია ან გადავწყვიტოთ პრობლემები, რომელიც არ ექვემდებარება ტექნიკური თეორიის ამოხსნის საშუალებებს. აქ მხედველობაში არის მიღებული საშუალო სისქის გარსების თეორია და სამგანზომილებიანი ამოცანა. დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანის კავშირი გარსების თეორიასთან გამოკვლეულია აგრეთვე ბ.გ. გადურკინის და ვ.გ. ნოვოჟილოვის მიერ. ამ პრობლემას დაუბრუნდნენ მოგვიანებითაც. მაგალითად მ. მ. მალინინი მიმოხილვაში “სხვადასხვა მეთოდების გამოყენების ანალიზი დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანების გამოკვლევა დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების დასმაში[152]. ამ პრობლემებზე მუშაობს ი.ი. ვოროვიჩი და მის იხელმძღვანელობით სამეცნიერო სკოლა. არსებით როლს მისმომართულებაში თამაშობს, როგორც უკვე ავღნიშნეთ ასიმპტოტური მეთოდები. მათი დახმარებით შეიძლება დავაკავშიროთ, ერთის მხრივ, სამგანზომილებიანი პრობლემები ორგანზომილებიანთან, ხოლო მეორეს მხრივ მივიღოთ მიახლოებითი შედეგები გამარტივებული ორგანზომილებიანი წარმოდგენის საფუძველზე.

მ. მ. გრიშინის წიგნში[53] ნაჩვენებია, რომ კარმანის არაწრფივი განტოლებები გეომეტრიული არაწრფივი ფირფიტების თეორიაში წარმოადგენს პირველ ასიმპტოტურ მიახლოებას სამგანზომილებიანი გეომეტრიული არაწრფივი ფილების ამოცანისათვის. შრომების რიცხვს, რომელშიც განხილულია ასიმპტოტური მეთოდების ზოგადი წარმოდგენა და კერძოდ მათი გამოყენების ასპექტი გარსებისა და ფირფიტების თეორიაში, მიეკუთვნება წიგნი გ.კ. იბრაევა[98]. ამ წიგნში, რომელიც წარმოადგენს სასწავლო საშუალებას, განხილულია გარსების სტატიკის ორგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი ამოცანების ამოხსნის ასიმპტოტური მეთოდები, გეომეტრიული და ფიზიკური არაწრფივობის გათვალისწინებით. მოყვანილია გაანგარიშების ალგორითმი ეგმ-ზე რიგი ამოცანებისა(შედეგები წარმოდგენილია ცხრილებსა და გრაფიკებში). შედეგების ნაწილი შე-

დარებულია ექსპერიმენტალურ მონაცემებთან. მოცემულია მეთოდთა გარსებში სასაზღვრო ეფექტების ექსპერიმენტალური გამოკვლევების შესახებ.

ასიმპტოტური აპროქსიმაცია თხელი და სქელი დრეკადი გარსების სამგანზომილებიანი თეორიის და პრაქტიკული კლასიფიკაცია გარსების თეორიის პრობლემების შედის ა. ა. ნაზაროვის ფუნდამენტალურ წიგნში[157]. გარსების თეორიის ასიმპტოტური ამონახსნები განხილულია სტატიებში ა.ლ. გოლდენვეიზერი[62], ნ.ა. ალუმიანე[10].

ა. ნაიფეს შემოთავაზებული მეთოდები წარმოდგენილი აქვს ორ წიგნად [158] და [159].

წიგნში[158] მოცემულია თანამედროვე ასიმპტოტური მეთოდები ალგებრული, დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის, მათ შორის დიდი პარამეტრებით, ინტეგრლებით, კვადრატული და კუბური არაწრფივი სისტემებით.

გეომეტრიული არაწრფივი პრობლემების ამოხსნასთან დაკავშირებით მოქნილი კონსტრუქციებისათვის გამოიყენება პარამეტრების მიხედვით ამოხსნის გაგრძელების მეთოდი. ამ მეთოდების საინტერესო მიმოხილვა მოცემულია ე.ი. გრიგოლიუკის [67] ნაშრომში.

განვითარება ჰპოვეს გარსების თეორიის აგების არაკლასიკურმა მეთოდებმა. გამოცემების რიცხვს, რომელიც ამ პრობლემებს ეძღვნება, შეიძლება მივაკუთვნოთ უკვე ნახსენები წიგნი ი.ნ. ვეკუა[49] და წიგნი ვ.ი. გულიაევის, ვ.ა. ბაჟენოვის და პ.პ. ლიზუნოვის[84]. მათ შორის პირველში გამოიყენება საძიებელი ფუნქციის დაშლა პოლინომებად. ლეჟანდრას კოორდინატით, რომელიც იზომება გარსის სისქის გასწვრივ, განხილულია გარსების თეორიის სტატიკურად განსაზღვრული ამოცანები, განისაზღვრება გარსების დეფორმაციები, კინემატიკურ პირობებთან ერთად და ბოლოს, განხილულია საინტერესო საკითხი დრეკადი გარსების ნეიტრალური ზედაპირის შესახებ (მათი არსებობის პირობები და მათთან არსებული შერევის ველი).

გარსების გაანგარიშების არაკლასიკურ მეთოდთა რიცხვს ჩვეულებრივ მიეკუთვნება ისიც, რომელშიც წარმოებს გარსში განივი ძვრების აღრიცხვა და რომლის მიხედვითაც დაარსდა დასახელება “გარსების გაანგარიშების მეთოდები ს.პ. ტიმოშენკოს ტიპის გარსების მიხედვით”. ტიმოშენკოს ტიპის გარსებისათვის თეორიის აგება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ გადამწყვეტ განტოლებათა სისტემის მაღალი რიგი.

ფირფიტებისა და გარსების თეორიის ამოცანების ამოხსნისათვის მათემატიკური აპარატის გამოყენება ძირითადად ხორციელდებოდა ვარიაციული აღრიცხვის გზით. მიღებულია განტოლების კომპლექსური ფორმა (ე. მეისნერის, ვ.ვ. ნოვოჟილოვის, კ.ფ. ჩერნიხი, ჯ. სანდერსა და სხვ.), ინტეგრალური განტოლებების აპარატი (ნ.ა. კილჩევსკი და სხვ.), ინტეგრალური გარდაქმნები (ლ.ი. სლუპიანი და სხვ.), სპეციალური ფუნქციები (ა.დ. კოვალენკო და სხვ.), ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის აპარატი (ვ.ვ. ბოლოტინი), წრფივი და არაწრფივი პრობლემების ასიმპტოტური ამონახსნი (ა.ლ. გოლდენვეიზერი, ნ.ა. ალუმიანე და სხვ.), პარამეტრების მიხედვით ამონახსნების გაგრძელების მეთოდები (ე.ი. გრიგოლიუკი და ვ.ი. შალაშილინი და სხვ.).

ავლნიშნოთ კიდევ ოთხი ნაშრომი, რომლებშიც მათემატიკური მეთოდები დაყენებულია პირველ ადგილზე – ეს არის შვეცოვის[171], ვ.ვ. ბოლოტინის[38-39] შრომები. წიგნში[171] განხილულია რთული ფორმის ფირფიტების დინამიკური გაანგარიშების მეთოდები ფუნქციის გამოყენების შემთხვევაში (ფუნქციები, რომელთა ნიშანი სრულიად განისაზღვრება არგუმენტის მოცემული ნიშნით) და ამ მეთოდის გამოთვლითი ასპექტი. [38]-ში მოცემულია ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნების გამოყენება, როგორც კლასიკურ დასმაში, ასევე დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ფიზიკური და ფუნდამენტალური ამონახსნების განზოგადების ასპექტში, დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანებისათვის და დამრეცი გარსების თეორია მამოძრავებელი ძალებისა და მომენტების მოქმედების დროს.

წიგნში[38] მეორე თავში მოცემულია ალბათობის თეორიის მეთოდების გამოყენება თხელი დრეკადი გარსების გაანგარიშებისათვის.

ანალოგიურად ვ.ვ. ბოლოტინის წიგნში[39] განხილულია გარსების გაანგარიშება სტატისტიკური მეთოდების ასპექტში.

ი.ნ. ვეკუამ აუდიტორიის მოსამზადებლად “გარსების მათემატიკური თეორიის” კურსის შესასწავლად გამოსცა წიგნი[47], მიძღვნილი ტენზორული ანალიზის საფუძვლებზე.

ანალოგიურად კ.ბ. აკსენტიანის, ვ.კ. გორდეევა-გავრიკოვას წიგნში[7] მოყვანილია ინფორმაცია ვექტორებზე, ტენზორებზე, მრუდხაზოვანი კოორდინატების თეორია, მატრიცული ფორმალიზმით მკითხველის მომზადების მიზნით გარსების თეორიის შესწავლისათვის (სტატისტიკური და დინამიკური ზემოქმედება ვარიაციულ-ენერგეტიკული მეთოდებით განტოლების აგების გამოყენების დროს).

მაღლა გარსების თეორიის სხვადასხვა მიმართულების განხილვისა და გამოყენებისათვის იყო განხილული მრავალრიცხოვანი შრომების კრებული. ავღნიშნავთ კიდევ რვა ნაშრომის კრებულს [83, 134]. [134]-ში მოცემულია ორი სტატიის თარგმანი: “გარსების თეორიის ზოგიერთი პრობლემები” ე. რეისნერის და “თხელი დრეკადი გარსების არამდგრადობა” ფანიუნ-ჩინა და ე.ე. სეკლერა. ე. რეისნერის სტატიაში წრფივ დონეზე გამოდის განტოლება ბრუნვითი გარსისათვის და მდებარეობს დამატებულ-დეფორმირებული მდგომარეობა (დ.დ.მ.), როგორც ჯამი უმომენტო დამატებულ-დეფორმირებული მდგომარეობა (დ.დ.მ.) და კუთხური ეფექტების.

[83]-ში მოყვანილია ექსპერიმენტულ-თეორიული გამოკვლევები, მიძღვნილი გარსებზე სამრეწველო, სამოქალაქო, სოფლის მეურნეობის მშენებლობაში, კერძოდ უწყვეტი გარსები, გარსები დიაფრაგმებით, დამრეცი გარსები, ჰიპარები, ელიფსური პარაბოლოიდური გარსები, არმოცემენტული გარსები ფოლადის დიაფრაგმებით, მარაგი; განიხილება გაანგარიშება სასაზღვრო მდგომარეობაზე და ეგმ-ების გამოყენებით.

კრებული[58] ეძღვნება ვ.ვ. ნოვოჟილოვს 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 55 სტატიიდან 17 მიეკუთვნება გარსების და ფირფიტების თეორიას. ამ კრებულში ზემოთ აღნიშნული სტატიების გარდა, მივუთითებთ კიდევ ორ სტატიაზე ა.ლ. გოლდენვეიზერის “თხელი დრეკადი გარსების საკუთარი რხევის ორთოგონალური ფორმების შესახებ” და “თხელი ბრუნვითი გარსების საკუთარი მნიშვნელობებით ერთი კლასის ამოცანების ამოხსნა” ე.ე. გრიგოლიუკა და ი.ვ. ლინოვცა. [58]-ში განხილულია ღეროს სტატიკა და დინამიკა, დრეკადი, დრეკადპლასტიკური და მყარპლასტიკური მასალის ფირფიტები და გარსები, სტატიკური და დინამიკური მდგრადობა. გამოყენებულია დიფერენციალური განტოლებების არათანმიმდევრული ინტეგრირების მეთოდები. სასრულ ელემენტთა მეთოდი (ს.ე.მ.), ვარიაციული მეთოდები, თეორიულ-ექსპერიმენტალური მეთოდები. მთელ რიგ სტატიებში ამოხსნა დაიყვანება ეგმ-ის რიცხვამდე.

1.4. პირველი თავის დასკვნები

ლიტერატურის მიმოხილვიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:


- მართკუთხა ჭრილის მქონე თხელკედლიანი კონსტრუქციების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობის პირობებში გაანგარიშების პრობლემა აქტუალურია და იმყოფება აქტიური დამუშავების სტადიაში.
- გაანგარიშების ტრადიციული ანალიზური და რიცხვითი მეთოდების გადატანა ამოცანათა განხილულ კლასზე ხვდება სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებულია კონსტრუქციის გეომეტრიული რეგულარობის დარღვევებთან.
- არასაკმარისად არის გაშუქებული მართკუთხა ჭრილების მქონე კონსტრუქციების დრეკად-პლასტიკური მდგომარეობა.
- სამეცნიერო ლიტერატურაში პრაქტიკულად არ გვხვდება მართკუთხა ჭრილის მქონე გარსებისა და ფირფიტების გაანგარიშების მეთოდები, რომლებიც პრაქტიკული რეალიზაციის საშუალებას იძლევიან.

თავი 2. კვლევა, შედეგები და მათი განსჯა

2.1. ფენოვანი მოდელის გამოყენების შესაძლებლობა სისქის მიხედვით ერთგვაროვანი მთლიანი გარსების შესწავლის მიზნით

განვიხილოთ სისქის მიხედვით ერთგვაროვანი, მთლიანი ორთოტროპული გარსი, რომლის პლასტიკური მდგომარეობა წარმოდგენილია მიზესის განზოგადებული პირობით და მასთან ასოცირებული დინების კანონით.

ნათქვამის შესაბამისად გარსის შუა ზედაპირიდან რაიმე Z მანძილზე გვექნებამთლიანი ორთოტროპული გარსი (ნახ.1)



ნახ. 1. მთლიანი ორთოტროპული გარსი

დენადობის პირობას აქვს შემდეგი სახე:

$$f(\sigma_{xx}^3 \sigma_{yy}^3 \sigma_{xy}) = \frac{\sigma_{xx}^2}{\sigma_{sx}^2} - \frac{\sigma_{xx} \sigma_{yy}}{\sigma_{sx} \sigma_{sy}^2} + \frac{\sigma_{yy}^2}{\sigma_{sy}^2} + \frac{\sigma_{xy}^2}{\tau_s^2} - 1 = 0 \quad (1)$$

$$\left. \begin{aligned} \xi + 2\chi &= \lambda \left(\frac{2\sigma_{xx}}{\sigma_{sy}^2} - \frac{\sigma_{yy}}{\sigma_{sx} \sigma_{sy}} \right) \\ \xi + 2\chi &= \lambda \left(\frac{2\sigma_{yy}}{\sigma_{sy}^2} - \frac{\sigma_{xx}}{\sigma_{sx} \sigma_{sy}} \right) \\ \omega + Z\chi &= 2\lambda \frac{\sigma_{xy}}{\tau_s^2} \end{aligned} \right\} \quad (2)$$

გარსის h სისქის მიხედვით მოქმედი თითოეული $(\sigma_{xx} \sigma_{yy} \sigma_{xy})$ ძაბვა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც z -ის ლუწი და კენტი ფუნქციების ჯამი. გეომეტრიული თვალსაზრისით ამგვარი წარმოდგენა მოასწავებს ძაბვითი ეპიურების დაშლას შუა ზედაპირის მიმართ სიმეტრიულ და ირიბად სიმეტრიულ ეპიურებად.

ამრიგად,

$$\sigma_{xx} = t_1 + m_1, \sigma_{yy} = t_2 + m_2, \sigma_{xy} = t_{12} + m_{12},$$

სადაც z -ის მიხედვით ლუწი შესაკრებები ე.ი t_1, t_2, t_{12} შეიძლება იყოს განმარტებული როგორც მემბრანული ძაბვები. რაც შეეხება კენტ შესაკრებებს m_1, m_2 და m_{12} -ს, ისინი ღუნვის და გრეხის გამომწვევი ძაბვები არიან.

ამგვარი წარმოდგენის შედეგად დენადობის პირობა (1) დებულობს სახეს:

$$\frac{1}{\sigma_{sx}^2}(t_1^2 + m_1^2) - \frac{1}{\sigma_{sx}\sigma_{sy}}(t_1 t_2 + m_1 m_2) + \frac{1}{\sigma_{sy}^2}(t_2^2 + m_2^2) + \frac{1}{\tau_s^2}(t_{12}^2 + m_{12}^2) - 1 = -\frac{2}{\sigma_{sx}} t_1 m_1 + \frac{1}{\sigma_{sx}\sigma_{sy}}(t_1 m_2 + t_2 m_1) - \frac{2}{\sigma_{sy}^2} t_2 m_2 - \frac{2}{\tau_s^2} t_{12} m_{12} \quad (3)$$

(3) ტოლობის იგივურად დაკმაყოფილება მოითხოვს რომ მისი თითოეული ნაწილი (ლუწი და კენტი) ცალცალკე უდრიდეს ნულს.

$$\frac{1}{\sigma_{sx}^2}((t_1^2 + m_1^2) - \frac{1}{\sigma_{sx}\sigma_{sy}}(t_1 t_2 + m_1 m_2) + \frac{1}{\sigma_{sy}^2}(t_2^2 + m_2^2) + \frac{1}{\tau_s^2}(t_{12}^2 + m_{12}^2)) = 1 \quad (4)$$

$$\frac{t_1}{\sigma_{sx}} \left(2 \frac{m_1}{\sigma_{sx}} - \frac{m_2}{\sigma_{sy}} \right) + \frac{t_2}{\sigma_{sy}} \left(2 \frac{m_2}{\sigma_{sy}} - \frac{m_1}{\sigma_{sx}} \right) + \frac{2}{\tau_s^2} t_{12} m_{12} = 0 \quad (5)$$

დაწვრილებით განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც გარსის სისქის მიხედვით სრულდება სტატიკური ხასიათის პირობები:

$$a) t_1 = t_{12} = 0$$

ერთ-ერთი იმ ოთხთაგანი, რითაც დავახასიათეთ ფენოვანი გარსის უმარტივესი დამაბული მდგომარეობა. შესაბამისად (4) და (5) ფორმულების საფუძველზე გვექნება პლასტიკურობის პირობა:

$$\frac{3}{4} \frac{m_1^2}{\sigma_{sx}^2} + \frac{t_2^2}{\sigma_{sy}^2} + \frac{m_{12}^2}{\tau_s^2} = 1 \quad (6)$$

ამასთანავე (6) პირობის მიღების დროს თავიდანვე გამოვრიცხეთ $t_2=0$, რამდენადაც იგი არის წმინდა მომენტური დაძაბული მდგომარეობის მაუწყებელი და ამდენად კიდევ ტრიალური.

შესაბამისად მარტივდება (2) ფორმულებიც, რომლებიც კავშირს ამყარებენ დეფორმაციათა სიჩქარეებსა და ძაბვებს შორის.

$$\left. \begin{aligned} \dot{\xi} + Z\dot{\chi} &= \lambda \left(\frac{3}{2\sigma_{sx}^2} m_1 - \frac{1}{\sigma_{sx}\sigma_{sy}} t_2 \right) \\ \dot{\xi} + Z\dot{\chi} &= \lambda \frac{2m_{12}}{\sigma_{sy}^2} \\ \omega + Z\dot{\chi} &= \lambda \frac{2m_{12}}{\tau_s^2} \end{aligned} \right\} \quad (7)$$

ამათგან პირველი ორი დამოკიდებულების საფუძველზე გვექნება:

$$\left(\dot{\xi} + Z\dot{\chi} + \frac{\sigma_{sy}}{\sigma_{sx}} (\dot{\xi} + Z\dot{\chi}) \right) = \lambda \frac{3}{2\sigma_{sx}^2} m_1,$$

საიდანაც m_1 ძაბვის უწყვეტობის გამო (წერტილში $Z=0$) გამომდინარეობს $\left(\dot{\xi} + \frac{\sigma_{xy}}{2\sigma_{sx}} \dot{\xi} \right)$ -ის ტოლობა ნულთან და უცილობელი დასკვნა იმის შესახებ, რომ პლასტიკურობის კოეფიციენტი λ არის z -ის ლუწი ფუნქცია, ამიტომაც ორი უკანასკნელი დამოკიდებულება(7) გვაძლევს:

$$\dot{\chi}_y = \omega = 0$$

ამის შემდეგ (6) და (7) ფორმულების მიხედვით განისაზღვრება პლასტიკურობის კოეფიციენტიც:

$$\lambda = \frac{1}{2} \left[\sigma_{sy}^2 \varepsilon_y^2 + \left(\frac{4}{3} \sigma_{sx}^2 \dot{\chi} + \tau_s^2 \dot{\chi} \right) Z Z^2 \right]^{1/2} \quad (8)$$

როგორც λ კოეფიციენტის ცვლილების ხასიათი z -ის მიხედვით, ასევე პლასტიკურობის პირობის სტრუქტურაც, რომელიც არაა დამოკიდებული ძაბვების ნიშანზე(იხ. ფორმულები: (6) და (8)) მოწმობს იმაზე, რომ პლასტიური დინება სიმეტრიულად ხდება გარსის შუა ზედაპირის მიმართ.

ახლა (7) და (8) ფორმულების გათვალისწინებით გამოვთვალოთ ნორმალური და მხები ძაბვების ტოლქმედი სიდიდეები, ე.ი ძალვა და მომენტები: T_y, M_x, M_{xy} .

$$T_y = 2 \int_0^{h/2} t_2 dz = \frac{\sigma_{sy} h \mu}{\sqrt{1-\mu^2}} \ln \frac{1+\sqrt{1-\mu^2}}{\mu},$$

$$M_x = 2 \int_0^{h/2} m_1 z dz = \frac{\sigma_{sx}^2 h^2 \dot{\chi}}{12 \sqrt{\lambda_1^2 - \lambda_0^2}} \left(\frac{1}{\sqrt{1-\mu^2}} - \frac{\mu^2}{1-\mu^2} \ln \frac{1+\sqrt{1-\mu^2}}{\mu} \right),$$

$$M_{xy} = 2 \int_0^{h/2} m_{12} z dz = \frac{\mu_s^2 h^2 \bar{x}}{16 \sqrt{\lambda_1^2 - \lambda_2^2}} \left(\frac{1}{\sqrt{1-\mu^2}} - \frac{\mu^2}{1-\mu^2} \ln \frac{1+\sqrt{1-\mu^2}}{\mu} \right),$$

სადაც $\mu = \lambda_0 / \lambda_1$ წარმოადგენს λ იმ მნიშვნელობათა შეფარდებას, რომელთაგანაც პირველი შუა ზედაპირს შეესაბამება, მეორე კი გარსის სისქის მიხედვით განაპირა ბოჭკოებს $\pm h / 2$ -ს. ე.ი.

$$\lambda_0 = \frac{\sigma_{xy} \bar{x}}{2},$$

$$\lambda_1 = \frac{1}{2} \left[\sigma_{sy}^2 \bar{x} + \left(\frac{4}{3} \sigma_{sx}^2 \bar{x} + \tau_s^2 \bar{x} \right) \frac{h^2}{4} \right]^{1/2}.$$


შემოვიღოთ კვადრატული ფორმები:

$$Q_l = \frac{T_y^2}{\sigma_{sy}^2 h^2}, \quad Q_m = \frac{12 M_x^2}{\sigma_{sx}^2 h^4} + \frac{16 M_{xy}^2}{\tau_s^2 h^4},$$

რომელთა შორისაც არსებობს (ადვილად შესამჩნევი) პარამეტრული სახის შემდეგი დამოკიდებულება:

$$\left. \begin{aligned} Q_l &= \frac{\mu^2}{1-\mu^2} \ln^2 \frac{1+\sqrt{1-\mu^2}}{\mu} \\ Q_m &= \left(\frac{1}{\sqrt{1-\mu^2}} - \frac{\mu^2}{1-\mu^2} \ln \frac{1+\sqrt{1-\mu^2}}{\mu} \right)^2 \end{aligned} \right\} \quad 0 \leq \mu \leq 1 \quad (9)$$

დამოკიდებულება(9) გარეგნულად ემთხვევა იმას, რაც მიღებული აქვს ა.ილუშინს იზოტროპული გარსებისათვის, ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ ილუშინის ეს ფორმულები საფუძვლად უდევს როგორც განსხვავებული მსჯელობა, ასევე პლასტიკურობის განსხვავებული თეორიაც. კერძოდ, მცირე დრეკად პლასტიური დეფორმაციების თეორია.



ნახ.2. იზოტროპული გარსები

თურმე ნახ 2. მრუდი საკმაოდ კარგად შეიძლება იყოს აპროქსიმირებული წრფით:


$$Q_1 + Q_m = 1, \tag{10}$$

რომლის მაქსიმალური გადახრა მრუდისგან დაახლოებით 9% შეადგენს ნახ2. აქვე შევნიშნავთ რომ (9) მრუდის ასაგებად გვაქვს მოცემული შემდეგი ცხრილი 1.:

μ_0	0.1	0.141	0.196	0.301	0.417	0.578	0.707	0.815	0.865	0.944	1
Q_t 0	0.09	0.141	0.214	0.342	0.522	0.660	0.782	0.875	0.908	0.960	1
Q_m 1	0.95	0.917	0.961	0.746	0.574	0.416	0.275	0.168	0.122	0.05	0

ცხრილი 1. მაქსიმალური გადახრა მრუდისგან

ფენოვანი მოდელის გამოყენების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი რომ მიახლოებითი დამოკიდებულება (10) შეიძლება მიღებული იყოს უშუალოდ (6) პირობიდან. ამისათვის საკმარისია ვიგულისხმოთ, რომ მემბრანული ძალვა t_2 უცვლელია სისქის მიხედვით. იმ დროს როდესაც ღუნვისა და გრეხის ძაბვები m_1 და m_{12} წარმოადგენენ უბან-უბან მუდმივ სიდიდეებს, რომლებიც განიცდიან პირველი გვარის წყვეტას გარსის შუა ზედაპირზე (ნახ. 3), სხვა სიტყვებით პრაქტიკული მიზნებისთვის საკმარისი სიზუსტით ჩვეულებრივი ერთგვაროვანი გარსი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც კონსტრუქცია, რომელიც შედგენილია ორი ისეთი სრულიად ერთნაირი ფენისაგან, რომელთა დამაბული მდგომარეობა სათითაოდ არის განზოგადოებული ბრტყელი.



ნახ. 3. პირველი გვარის წყვეტა გარსის შუა ზედაპირზე

ნათქვამი ძალაში რჩება გარსის უმარტივესი დამაბული მდგომარეობის სხვა შემთხვევაშიც, მართებულია აგრეთვე (9) და (10) ფორმულებიც, ოღონდ ამჯერად Q_t და Q_m კვადრატული ფორმების სახით უნდა შესაბამისად ვიგულისხმოთ შემდეგი სიდიდეები:

$$Q_t = \frac{T_y^2}{\sigma_{sy}^2 h^2} + \frac{S^2}{\tau_s^2 h^2}, \quad Q_m = \frac{12M_x^2}{\sigma_{sx}^2 h^4},$$

$$Q_t = \frac{3}{4} \frac{T_x^2}{\sigma_{sx}^2 h^2} + \frac{S^2}{\tau_s^2 h^2}, \quad Q_m = \frac{16M_{xy}^2}{\sigma_{sy}^2 h^4},$$

$$Q_t = \frac{3}{4} \frac{T_x^2}{\sigma_{sx}^2 h^2}, \quad Q_m = \frac{16M_{xy}^2}{\sigma_{sy}^2 h^4} + \frac{16M_{xy}^2}{\tau_s^2 h^4}.$$

ამრიგად, „უმარტივესი დამაბული მდგომარეობის,, პირობებში, რომელიც ხასიათდება პლასტიკური დეფორმაციის გავრცელებით გარსისა და შუა ზედაპირის სიმეტრიულად, ფენოვანი და სისქის მიხედვით ერთგვაროვანი კონსტრუქციები მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი თვალსაზრისითაც.

პრინციპულად განსხვავებული სურათი გვაქვს ასიმეტრიული პლასტიკური დინების დროს. „სანდვიჩის“ ტიპის კონსტრუქციის მიხედვით თუ

ვიმსჯელებთ, შეიძლება ისე ამოიწუროს ფენოვანი გარსის ზიდვის უნარი, რომ მხოლოდ ერთი მუშა ფენა აღმოჩნდეს პლასტიურ მდგომარეობაში გადასული.

ცილინდრული აირსაცავის მარტივი მაგალითი ამ მხრივ უთუოდ ბევრის მოქმელია.

განვიხილოთ წრიული ცილინდრული ჭურჭელი ხისტი ძირებით, რომლის ზღვრული მდგომარეობა გამოწვეულია წნევით, ვიგულისხმობთ რომ ჭურჭლის მასალა უკუმშია ($\nu = \frac{1}{2}$) და იზოტროპული ($\sigma_{sx} = \sigma_{sy} = \sigma_s$).

თუ ჩვენი მტკიცების საწინააღმდეგოდ დავუშვებთ რომ პლასტიკურ მდგომარეობაში გადადის ორივე მუშა ფენა, უფლება გვექნება დავწეროთ:

$$\left(\frac{T_x}{2\delta\sigma_s} \pm \frac{M_x}{\sigma_s\delta\Delta}\right)^2 - \left(\frac{T_x}{2\delta\sigma_s} \pm \frac{M_x}{\sigma_s\delta\Delta}\right)\left(\frac{T_x}{2\delta\sigma_s} \pm \frac{M_x}{\sigma_s\delta\Delta}\right) + \left(\frac{T_x}{2\delta\sigma_s} \pm \frac{M_x}{\sigma_s\delta\Delta}\right)^2 = 1$$

უკანასკნელი, როგორც ვიცით, ეკვივალენტურია შემდეგი ორი დამოკიდებულების:

$$\begin{aligned} \left(\frac{T_x}{2\delta\sigma_s}\right)^2 + \left(\frac{T_x}{\sigma_s\delta\Delta}\right)^2 - \left(\frac{T_x}{2\delta\sigma_s}\right)\left(\frac{T_y}{2\delta\sigma_s}\right) - \left(\frac{M_x}{\sigma_s\delta\Delta}\right)\left(\frac{M_y}{\sigma_s\delta\Delta}\right) + \left(\frac{T_y}{2\delta\sigma_s}\right) + \left(\frac{M_y}{\sigma_s\delta\Delta}\right)^2 &= 1 \\ \left(\frac{T_x}{2\delta\sigma_s}\right)\left[2\left(\frac{M_x}{\sigma_s\delta\Delta}\right) - \left(\frac{M_y}{\sigma_s\delta\Delta}\right)\right] + \left(\frac{T_y}{2\delta\sigma_s}\right)\left[2\left(\frac{M_y}{\sigma_s\delta\Delta}\right) - \left(\frac{M_x}{\sigma_s\delta\Delta}\right)\right] &= 0 \end{aligned} \quad (11)$$

მეორე მხრივ რგოლური მიმართულებით გარსის გაუმრუდებლობის ($\dot{X}=0$) და მისი მასალის უკუმშვადობის ($\nu = \frac{1}{2}$) გამო, დრეკადობის ფარგლებშიც გვაქვს დამოკიდებულება:


$$2\left(\frac{M_y}{\sigma_s\delta\Delta}\right) - \left(\frac{M_x}{\sigma_s\delta\Delta}\right) = 0,$$

რომელიც არც შემდგომში კარგავს ძალას. აქედან გამომდინარე რამდენადაც $T_x \neq 0$ იქმნება წინააღმდეგობრივი სიტუაცია, რაზედაც მოწმობს ფორმულა (11) და რაც იმის მაუწყებელია, რომ გარსის განაპირა ფენებიდან მხოლოდ ერთი გადადის პლასტიკურ მდგომარეობაში.[150]

2.2. დრეკად-პლასტიკური ფილებისა და გარსების ზიდვის უნარის დადგენა

საინჟინრო თვალსაზრისით კონსტრუქციის ზღვრული მდგომარეობა ხასიათდება მისი თავდაპირველი ზომების და ფორმის იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებით, რომ კონსტრუქციის შემდგომი ექსპლოატაცია შეუძლებელი ხდება. ცხადია რომ ზღვრული მდგომარეობის მიღწევამდე საგრძნობლად ადრე კონსტრუქციაში უკვე არსებობს ცალკეული დაქსაქსული პლასტიური არეები, რომელთა გავლენა ჯერ კიდე უმნიშვნელოა და კონსტრუქცია კვლავაც შეგვიძლია ჩავთვალოთ ხისტად, მაგრამ დატვირთვის ზრდასთან ერთად იწყება პლასტიური არეების გაფართოება და ბოლოს როცა გარე ძალები მიაღწევენ გარკვეულ „ზღვრულ მნიშვნელობას“, რომელსაც კონსტრუქციის ზიდვის უნარს უწოდებენ, კონსტრუქცია „მიედინება მთლიანად“ რაც აღინიშნება დეფორმაციათა სიჩქარეების განუსაზღვრელი ზრდით.

მოახლოებული რღვევის პირობებში პლასტიკური დეფორმაცია საგრძნობლად აღემატება დრეკადს, რის გამოც ეს უკანასკნელი შეიძლება საერთოდ უგულვებელვყოთ. ამგვარი განმარტების შედეგად ვღებულობთ რეალური დეფორმადი ტანის იდეალურ პლასტიკურ ხისტ მოდელს (ნახ.4); სწორედ ეს მოდელია გამოყენებული ზიდვის უნარის განსაზღვრის დროს.



ნახ.4 პლასტიკური ხისტი მოდელი

ერთლერძული დაძაბული მდგომარეობის პლასტიკური დეფორმაციის წარმოქმნა განპირობებულია სათანადო ძაბვის მიერ მასალის დენადობის განსაზღვრული მნიშვნელობის მიღწევით ფილებსა და დამრეც გარსებში, სადაც ელემენტარული შრეების დაძაბული მდგომარეობა ბრტყელია პლასტიკური დეფორმაციების წარმოქმნა ხორციელდება σ_{xx} , σ_{yy} ნორმალური და მხები σ_{xy} ძაბვების საშუალებით.

პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ძაბვები დეფორმადი მყარი ტანის რაიმე წერტილში, იმისათვის, რომ მასში წარმოიქმნას პლასტიკური დეფორმაცია, ცნობილია პლასტიკურობის ანუ დენადობის პირობის სახელწოდებით. არსებობს დენადობის რამოდენიმე პირობა რთული დაძაბული მდგომარეობის შემთხვევისათვის. ერთერთი მათგანი, თანაც უნდა ითქვას ყველაზე მარტივი ცნობილია ჰუბერ-მიზესის პირობის სახელწოდებით, რომელსაც ბრტყელი დაძაბული მდგომარეობის პირობებში აქვს შემდეგი სახე:

$$f(\sigma_u) = f(\sigma_{xx}, \sigma_{yy}, \sigma_{xy}) = \frac{\sigma_{xx}^2}{\sigma_y^2} - \frac{\sigma_{xx}\sigma_{yy}}{\sigma_{xy}\sigma_{xy}} + \frac{\sigma_{yy}^2}{\sigma_{xx}^2} + \frac{\sigma_{xy}^2}{\tau^2} \quad (12)$$

სადაც τ_x – მასალის დენადობის ზღვარია ძვრის დროს. σ_{xx}, σ_{yy} დენადობის ზღვართა მნიშვნელობები გაჭიმვისას, შესაბამისად X და y ღერძების მიმართულებით.

როცა $f(\sigma_\eta) < 0$, მასალა მიჩნეულია არადეფორმადად, ხოლო როცა $f(\sigma_\eta) = 0$ მასალა ამჟღავნებს დენადობის თვისებას.

მხოლოდ დენადობის პირობის საფუძველზე შეუძლებელია პლასტიკურ ხისტი ტანების მექანიკური მდგომარეობის მეტნაკლებად სრული დახასიათება. უნდა ვიცოდეთ აგრეთვე დინების თანმხლები კანონიც, ეს უკანასკნელი დენადობის $f(\sigma_{xx}, \sigma_{yy}, \sigma_{xy})$ ფუნქციასთან ჩვეულებრივად გულისხმობს გაიგივებული პლასტიკური პოტენციალის არსებობას.

ამრიგად ნაგულისხმებია შემდეგი ტოლობების სამართლიანობა

$$x = \lambda \frac{\partial f}{\partial \sigma_{xx}} ; \quad y = \lambda \frac{\partial f}{\partial \sigma_{yy}} ; \quad \omega = \lambda \frac{\partial f}{\partial \sigma_{xy}} \quad (13)$$

სადაც x , y და ω აღნიშნავენ სათანადო დეფორმაციათა სიჩქარეებს, λ -კი, რომელსაც პლასტიკურობის კოეფიციენტს უწოდებენ განისაზღვრება ფორმულით:

$$\lambda = \left[\frac{1}{3} (\sigma_{xx}^2 \dot{\epsilon}_x^2 + \sigma_{xx} \cdot \sigma_{xy} \cdot \dot{\epsilon}_x \cdot \dot{\epsilon}_y + \sigma_{xy}^2 \cdot \dot{\epsilon}_y^2) + \frac{\tau_1^2 \cdot \omega^2}{4} + \frac{h}{36} (\sigma_{xx}^2 \dot{x}_1^2 + \sigma_{xx} \cdot \sigma_{xy} \dot{x}_1 \dot{x}_2 + \sigma_{xy}^2 \dot{x}_2^2) + \frac{\tau_x^2}{48} x^2 \right]^{1/2} \quad (14)$$

დამრეცი ორმაგი სიმრუდის გარსის შემთხვევაში შუა ზედაპირის დეფორმაციების სიჩქარეების განსაზღვრული პარამეტრები გამოითვლება ფორმულებით:

$$\begin{aligned} \dot{\epsilon}_x &= \frac{\partial \dot{U}}{\partial x} + \frac{\omega}{R_1}; & \dot{\epsilon}_y &= \frac{\partial V}{\partial y} + \frac{\omega}{R_2}; & \omega &= \frac{\partial \dot{U}}{\partial y} + \frac{\partial V}{\partial x} \\ x_1 &= -\frac{\partial^2 \omega}{\partial x^2} + \frac{1}{R_1} \frac{\partial \dot{U}}{\partial x}; & x_2 &= \frac{\partial^2 \omega}{\partial y^2} + \frac{1}{R_2} \frac{\partial V}{\partial y}; \\ x &= \frac{1}{R} \frac{\partial \dot{U}}{\partial y} + \frac{1}{R_1} \frac{\partial V}{\partial x} - 2 \frac{\partial^2 \omega}{\partial x \partial y} \end{aligned} \quad (15)$$

საინჟინრო ნაგებობათა ზიდვის უნარის განსაზღვრა წარმოადგენს სამშენებლო მექანიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. იგი საკმაოდ რთული და ხშირად პრაქტიკულად განუხორციელებელი ამოცანაა. ამიტომაცაა, რომ ამ მიმართულებით დამუშავებულია მრავალი გონებამახვილური მეთოდი, რომლებიც მისაღებ ფარგლებში საკმაოდ ამარტივებენ დასმული ამოცანის გადაწყვეტას. ერთ ერთი ასეთი მეთოდი დამუშავებულია მ.მიქელადის მიერ, რომელიც ეხება ნაგებობის ზიდვის უნარის ორმხრივ შეფასებას.[150] ამ მეთოდის მიხედვით თუ ავლნიშნავთ P_1 -ით ზღვრული დატვირთვის ინტენსივობის სტატიურად დასაშვებ მნიშვნელობას, ხოლო P_2 -ით ზღვრული დატვირთვის ინტენსივობის კინემატიკურად დასაშვებ მნიშვნელობას, მაშინ ზღვრული დატვირთვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა სტატიურად დასაშვები ინტენსივობის უდიდესი და კინეტიკურად დასაშვები უმცირესი მნიშვნელობის ტოლია. $P_{სტ} \leq P \leq P_კ$, გარსის ზიდვის უნარი ზევიდან ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$P < P_{n1} + \frac{2h}{\sqrt{3}} \left[\frac{\sigma_{sx}^2}{R_1^2} + \frac{\sigma_{Nx} \sigma_{Ny}}{R_1 R_2} + \frac{\sigma_{sy}^2}{R_2^2} \right]^{1/2} \quad (16)$$

სადაც

$$P_x = \frac{\frac{h^2}{\sqrt{3}} \int_F \left\{ \frac{1}{3} \left[\left(\frac{\partial^2 \omega}{\partial x^2} \right)^2 \sigma_{xy}^2 + \sigma_{Ny} \cdot \sigma_{xy} \frac{\partial^2 \omega}{\partial x^2} \cdot \frac{\partial^2 \omega}{\partial y^2} + \sigma_{xy}^2 \left(\frac{\partial^2 \omega}{\partial y^2} \right)^2 \right] + \tau \left(\frac{\partial^2 \omega}{\partial x \partial y} \right)^2 \right\}}{\int_F \omega dF} \quad (17)$$

არის ფირფიტის ზიდვის უნარი, რომლის ზომები ემთხვევა გარსით გადახურული ფართის გეომეტრიულ ზომებს.

ზიდვის უნარი ქვემოდან განისაზღვრება ფორმულით:

$$P > \frac{2h}{\sqrt{3}} \left[\frac{\sigma_{3x}^2}{R_1^3} + \frac{\sigma_{nx} \sigma_{ny}}{R_1 R_2} + \frac{\sigma_{ny}^2}{R_2^2} \right]^{\frac{1}{2}} \quad (18)$$

დავიწყით შემთხვევით, როდესაც გარსს არ გააჩნია შუალედური სახსრები, ასეთი გარსის ზიდვის უნარი ზევიდან განისაზღვრება (16) ფორმულით. შემდგომში გამოთვლების გამარტივების მიზნით შემოვიღოთ უგანზომილება ξ და η სიდიდეები შემდეგი ტოლობების მიხედვით:

$$X = \xi l_2 \quad \text{და} \quad Y = \eta l_2 = \eta k l_1 \quad (l_2 = k l_1)$$

სადაც l_1 და l_2 წარმოადგენენ გეგმაში გარსის გვერდების სიგრძეებს (ნახ.5). დენადობის ზღვრების σ_{xy} და τ_x სიდიდეები გამოვსახოთ σ_{xy} -ით შემდეგი დამოკიდებულების მიხედვით:


$$\sigma_{xy} = t \sigma_{xx}, \quad \tau_N = \sigma_{Nx} \frac{1}{\sqrt{3}}$$

შესაბამისად (16) მიიღებს სახეს:

$$P < P_{Ny} + \frac{2h \sigma_{Nx}}{\sqrt{3}} \left[\frac{1}{R_1^2} + \frac{t}{R_1 R_2} \frac{t^2}{R_2^2} \right]^{\frac{1}{2}}$$

სადაც

$$P = \frac{\frac{h^2 \sigma_{sx}}{3 l_1^2} \int_0^l \int_0^l \left[\left(\frac{\partial^2 \omega}{\partial \xi^2} \right)^2 + \frac{t}{K^2} \frac{\partial^2 \omega}{\partial \xi^2} \frac{\partial^2 \omega}{\partial \eta^2} + \frac{t^2}{K} \left(\frac{\partial^2 \omega}{\partial \eta^2} \right) + \frac{t^2}{K} \left(\frac{\partial^2 \omega}{\partial \eta^2} \right)^2 \right] d\xi d\eta}{\int_0^l \int_0^l \omega d\xi d\eta} \quad (19)$$



ნახ.5. ხისტად ჩამაგრებული სფერული გარსი

ზოგადობის შეუზღუდავად შემდეგში გამოთვლების გამარტივების მიზნით დავუშვათ რომ $t=1$ და $K=1$. ასეთ შემთხვევაში მოცემული გარსი გადაიქცევა კონტურით ხისტად ჩამაგრებულ სფერულ გარსად, რომლის ანგარიშიც დაიყვანება შემდეგი სახის დიფერენციალურ განტოლების ინტეგრების საკითხზე.

$$\frac{dl^4 \omega}{d\xi^4} + \omega = \frac{ql^4}{Ey} \quad (20)$$

შემდეგი სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით (იხ. ნახ. 5)

როცა $\xi = 0$ და $\xi = 1$ $\omega(0) = \omega(1) = 0$

როცა $\xi = \frac{1}{2}$ $\omega(\frac{1}{2}) = 0$

ამ შემთხვევაში (20) განტოლების ამონახსნი „X“-ის მიმართულეებით იქნება:

$$\omega(\xi) = C(2\xi^3 - \xi^2 - \xi^4) \tag{21}$$

სადაც $C = -\frac{qe^4}{24E}$

ასეთივე გამოსახულება გვექნება „y“-ის მიმართულეებით:

$$\omega(\eta) = C(2\eta^3 - \eta^2 - \eta^4)$$

კინემატიკურად დასაშვები ჩაღუნვათა კინემატიკური ველი მიიღებს სახეს:

$$\omega = \omega(\xi) \cdot \omega(\eta) = C^2(2\xi^3 - \xi^2 - \xi^4)(2\eta^3 - \eta^2 - \eta^4) \tag{22}$$

განვსაზღვროთ $\frac{\partial^2 \omega}{\partial \xi^2}, \frac{\partial^2 \omega}{\partial \eta^2}$ და $\frac{\partial^2 \omega}{\partial \xi \partial \eta}$ სიდიდეები. გარკვეული გამოთვლების

ჩატარების შემდეგ ფილისათვის მიღებული (19) ტოლობა მოგვცემს:

$$P = \frac{\frac{h\sigma_{xL}}{3e^3} \int_0^{1/2} \int_0^{1/2} [\theta^2(\xi) \cdot \psi^2(\eta) + \theta(\xi) \cdot \psi(\eta) \cdot \psi(\xi) \cdot \theta(\xi) + \psi^2(\xi) \cdot \theta^2(\eta) + \lambda(\xi) \cdot \lambda(\eta)]^{1/2} d\xi d\eta}{\int_0^{1/2} \int_0^{1/2} \psi(\xi) \cdot \psi(\eta) d\xi d\eta} \tag{23}$$

სადაც შემოღებულია შემდეგი აღნიშვნები:

$$\theta(\xi) = C(12\xi - 12\xi^2 - 2),$$

$$\Psi(\xi) = C(12\xi^3 - \xi^2 - \xi^4),$$

$$\Lambda(\xi) = C(4\xi^3 - 3\xi^2 - 2\xi^4),$$

$$\theta(\eta) = C(12\eta - 12\eta^2 - 2),$$

$$\Psi(\eta) = C(2\eta^2 - \eta^2 - \eta^4),$$

$$\Lambda(\eta) = C(4\eta^2 - 3\eta^2 - 2\eta^4).$$


(23) გამოსახულების მნიშვნელში მდგომი ინტეგრალი გამოთვლილია სიმპსონის კუბატურული ფორმულის მიხედვით[12].

